


# ხობის მოამბე

„თვითმმართველობა უპირველესი წინამძღვარია ხალხის ყოველმხრივი საჭიროებისა. სადაც ეს არის დარღვეული, იგი ყველგან ხეირობს... ყოველი სახელმწიფო, რომელიც ცდილობს ცოდნათ თუ მეურნეობა დაამცირება, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მთელი და ერთიანობა ადვილი იყოს."

№13-14 (7115) 25 დეკემბერი, ოთხშაბათი, 2019 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

## საქართველოს გზა ევროპისკენ!

### საქართველო ოფიციალურად გახდა ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა




14 დეკემბერს, საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, თავისუფლების მოედანზე, „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის ორგანიზებით ჩატარდა საზეიმო ღონისძიება „საქართველოს გზა ევროპისკენ"

მრავალათასიან ზეიმის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ.

გთავაზობთ ამონარიდებს მათი გამოსვლიდან.

**ბიძინა ივანიშვილი:**

საქართველო ევროპაში არა უბრალოდ, ფორმალურად უნდა დაბრუნდეს, არამედ თავისი კუთვნილი, კაშკაშა ადგილი უნდა დაიმკვიდროს ევროპის თანავარსკვლავედში.

* * *

დემოკრატია, კანონის უზენაესობა, თანასწორობა და შემწყნარებლობა– ის ფასეულობებია, რაზეც დგას ევროპა და რაც ასე ღრმად არის გამჯდარი ქართულ სულში.

სწორედ ეს ბუნება, ეს ღირებულებები აქცევს საქართველოს ევროპის ბუნებრივ ნაწილად.

* * *

და დღეს, როდესაც დიდი ისტორიის ფესვებზე მდგომებს, მოპოვებული გვაქვს თავისუფლება, როდესაც, ზოგიერთი ხანდახან ირონიულადაც იხსენებს ჩემს სიტყვებს, რომ გასაოცარ დემოკრატიას შევქმნიდით–რეალურად, მრავალი თვალსაზრისით, ჩვენ უკვე ვცხოვრობთ ევროპულ დემოკრატიაში, რომლის მიღწევაც არა ძალადობრივი გზით და უცხოს თავზე მოხვევით, არამედ ჩვენს ფასეულობებზე დაყრდნობით შევძელით.

სწორედ ასეთი მიდგომით მივაღწიეთ ჩვენ, ევროპასთან ასოცირებას და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას; სწორედ ასეთი მიდგომებით მიენიჭა საქართველოს მოქალაქეს ევროკავშირში უვიზოდ გადაადგილების უფლება;

დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დადგება ის დღე, როდესაც ჩვენ, ისევ აქ, ამ სიმბოლურ ადგილას, თავისუფლების მოედანზე, ვიზეიმებთ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას და ყველა ერთად ვიტყვით–ისტორიული სამართლიანობა აღდგა, მიზანს მივაღწიეთ.



* * *

ჩვენ ყველა სიძნელეს დავძლევთ, ჩვენ ქვეყანასაც გავამთლიანებთ და ეკონომიკასაც ავაღორძინებთ! და რაც მთავარია, ისე ვივლით ამ გზაზე, რომ ადამიანი დარჩება მთავარ ღირებულებად და ჩვენს აგრესიულ ოპონენტებსაც კი, მალე, როდესაც ისინი თავად დარწმუნდებიან სიცრუესა და ძალადობაზე დაფუძნებული პოლიტიკის უპერსპექტივობაში, მათაც ქვეყნის სამსახურში ჩავაყენებთ, რადგან ასე მღერიან ქართულ მრავალჟამიერში: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!"

**გიორგი გახარია:**

ჩვენი ტრადიციებით, ჩვენი წარსულით, ჩვენი კულტურით, ჩვენი ტოლერანტობით, რწმენით და ეკლესიით - ჩვენი გზა და ჩვენი საბოლოო გამარჯვება ევროპაშია"

* * *

ათასწლეულების წინ, დიდი კოლხეთიდან დაიწყო საქართველოს ევროპული გზა. მაშინ, როდესაც ბერძენმა არგონავტებმა აქ, საქართველოში, კოლხეთში იპოვეს ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირსეული ნაწილი. მაშინ, როდესაც მე-4 საუკუნეში რომის იმპერიიდან წმინდა ნინომ საქართველოში შემოიტანა ქრისტიანობა და მას შემდეგ, ქართული სახელმწიფოებრიობის იდეალი გახდა სწორედ ევროპულ, ქრისტიანულ ფასეულობებზე დამყარებული ქვეყანა.

**ევროპა არის საქართველოს წარსული, დღევანდელი დღე და მომავალი!**






**ძვირფასო თანამემამულენო,** გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

მშვიდობის, კეთილდღეობისა და წარმატებების წელი ყოფილიყოს 2020 წელი ყოველი თქვენგანისთვის,თქვენი ოჯახებისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის!

განსაკუთრებით ვულოცავ ხობისა და ზუგდიდის მოსახლეობას!

2019 წელი ნაყოფიერი და წარმატებული წელი იყო. განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ეკონომიკაში, განათლებაში, სოფლის მეურნეობაში. ჩვენთვის პრიორიტეტად კვლავ რჩება ხალხის აზრი, ინტერესები და მისწრაფებები, სწორედ ამიტომ მომავალ წელს დაგეგმილი პროექტები უშუალოდ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელდება. ჩვენი მიზანია, თითოეული ოჯახის კეთილდღეობა და სოციალური პირობების გაუმჯობესება.

ზუსტად ვიცი, რომ ჩვენ აუცილებლად ვიამაყებთ ერთად გაკეთებული კარგი საქმით და მიღწეული შედეგებით.

მინდა გვქონდეს რეალური მოლოდინი, რომ 2020 წელი იქნება წარმატებებისა და განსაკუთრებული შესაძლებლობების წელი. გისურვებთ ბევრ საინტერესო სიახლეს, ახალ შესაძლებლობებს, ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობის, სულიერი სიმშვიდის, შემწყნარებლობის, გაერთიანებისა და გამთლიანების საწინდარი.

ვულოცავ ახალ წელს სრულიად საქართველოს!.

*ირაკლი (დაჩი) ბერაია,*
*საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატი.*

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!



**ძვირფასო ხობელებო,** გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ მშვიდობას, კეთილდღეობას და ჩვენი სამშობლოს სიძლიერეს.

ახალ წელს ვულოცავ ახალგაზრდებს! თქვენ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე ხართ! თქვენი წარმატებები ჩვენი ქვეყნის წინსვლის საწინდარია!

განსაკუთრებულად მინდა, მივულოცო იმ ადამიანებს, ვინც დღეს საქართველოში არ იმყოფებიან. მომავალი წელი სამშობლოში თქვენი დაბრუნების წელი ყოფილიყოს.

მიმდინარე წელი, ნაყოფიერი და წარმატებული აღმოჩნდა ხობის მუნიციპალიტეტისთვის. განხორციელდა არა ერთი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი-კეთილმოეწყო გზები, პარკები, საბავშვო ბაღები, სკოლები, სამედიცინო დაწესებულებები, გაზიფიცირდა სოფლები. შესაძლებელი გახდა წამოგვეწყო მსხვილმასშტაბიანი პროექტები, რომელთა მეშვეობითაც, ხობი მალე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით უფრო განვითარებული და კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტი იქნება!

ყველას გისურვებთ სიმშვიდეს, მიმტევებლობას და უკეთესი მომავლის რწმენას. მჯერა, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვითა და შრომით შევქმნით უკეთეს მომავალს.

**გოჩა ქაჯაია,**
**ხობის მუნიციპალიტეტის მერი.**



**ძვირფასო ხობელებო,** უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ, რომ თითოეული თქვენგანის ოჯახისთვის დამდეგი ახალი წელი ყოფილიყოს ბედნიერების, დღეგრძელობის, ბარაქის, კეთილდღეობისა და წარმატებების მომტანი.

ქართველი ხალხისთვის ახალი წელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღესასწაულია. ვინაიდან, ეს ასოცირდება უკეთესობისკენ მუდმივ სწრაფვასთან საუკეთესო შედეგების მისაღწევად. საქართველო, ამ მხრივ, ისტორიულად მყარად დგას უძველეს ტრადიციებზე. ეს ის ღირებულებებია, რომლებმაც ჩვენს ხალხს და ქვეყანას ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა მსოფლიო ცივილიზაციაში და მოგვიყვანა დღემდე. სწორედ, ამ გენეტიკურმა ძალამ უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი მომავალი განვითარებისა და კეთილდღეობისთვის ბრძოლაში, რათა ვაშენოთ ქართულ ტრადიციებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებს თანამედროვე დემოკრატიულ და თავისუფალ სამყაროში.

ქართველი ერის ევროპული არჩევანი არის არა პოლიტიკური, არამედ ცივილური არჩევანი, რომლის ისტორიულ გზაზე ჩვენი ქვეყანა ათასწლეულების სიღრმიდან მოდის და დღესაც, როგორც არასდროს, ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვანია ევროპული თანამეგობრობის მხარდამჭერი პოზიცია, რომელიც მუდმივად ფიქსირდება საქართველოს ევროინტეგრაციისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში. ორმაგად სასიხარულოა, რომ ახალი 2020 წლის შემობრძანებას დაემთხვა საქართველოს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების თავმჯდომარეობა.

დაე, ეს წელი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მნიშვნელოვანი გამარჯვების წელი!

***ედიშერ ჯობავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.***

## ყური მივუგდოთ სახელოვან წინაპრებს!



### ილია ჭავჭავაძე
## საახალწლოდ თქმული...

**ღმერთმა** ხანგრძლივი დრო მოგცეთ სიცოცხლისათვის, ხოლო იცოდეთ კი, რომ „დრო ხანგრძლივია მისთვის, ვინც კარგადა ჰხმარობს, ვინც ირჯება, აზროვნობს და ჰფიქრობს, იგი დროთა საზღვარს შორს გასდგამს ხოლმე“.

**ღმერთმა** გაგაძლიეროთ, ხოლო იცოდეთ კი, რომ „ადამიანი ძლიერია მხოლოდ მაშინ, როცა მცოდნეა და განათლებული“.

**ღმერთმა** დიდი კაცობა მოგცეთ, ხოლო იცოდეთ კი, რომ „ვინც კარგად ემსახურება თავის სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდკაცობოდაც დიდია“.

**ღმერთმა** ყოველი საქმე კარგად წაგიმართოთ, ხოლო იცოდეთ კი, რომ საქმეს კარგად წარმართავს მარტო ჭკვიანი გული და გულიანი ჭკუა.

**ღმერთმა** ყოველი მწუხარება აგაცილოთ, ხოლო იცოდეთ კი, რომ „უკეთესი წამალი მწუხარებისა იგია, როცა სხვას მწუხარებისგან დაიხსნით“.

**ღმერთმა** უბედურებისაგან გიხსნათ, ხოლო იცოდეთ კი, რომ “ვისაც თავის დღეში არავინ გაუუბედურებია, იმას იმედი უნდა ჰ ქონდეს, რომ თვითონაც თავის დღეში უბედური არ იქნება“.

**ღმერთმა** იმოდენა უნარი მოგცეთ, რომ თქვენს ძალ-ღონეს დაენდოთ, სხვის იმედზედ არ იყვნეთ, იმიტომ რომ „იგი ჭკვიანი არ არის, ვინც არ იცის თავს როგორ უშველოს“.

**ღმერთმა** ჯანმრთელი გამყოფოთ, ხოლო იცოდეთ, რომ „თუ გნებავთ სიმრთელე შეჰრჩეს თქვენს სულსა და ხორცსა, გულის ნებას და მადას გაძღომამდე ნუ მიიყვანთ“.

**ღმერთმა** მოგცეთ სიყვარული მართლისა და იცოდეთ, რომ „თუ ბოროტი ხართ, შეგიძულებენ, თუ კეთილი ხართ, ზოგჯერ მოგატყუებენ და თუ მართლის მოყვარე ხართ, თაყვანსა გცემენ“.

**ღმერთმა** სიბრძნე და სათნოება მოგანიჭოთ და იცოდეთ, რომ „სიტურფე, ნიჭიერება, ჭკუა და სხვა ყოველივე სცვდება, გარდა სიბრძნისა და სათნოებისა“.

**ღმერთმა** უმაღლესს ღირსებამდე მიგახწევინოთ, ხოლო იცოდეთ კი, რომ „ყველაზედ უტყუარი ნიშანი უმაღლესის ღირსებისა შურის არქონაა“.

**ღმერთმა** ნუ მოგაკლოთ პატიოსნება და იცოდეთ, რომ „ვაჟკაცს გმირს მარტო იმის უნარი აქვს, დიდბუნებიანს ყოველაფრისა, ხოლო ერთიცა და მეორეც ვერ აიწონენ ერთად, რასაც ერთი პატიოსანი კაცი იწონის“.

**ღმერთმა** არც მფლანგავი გქმნას, არც ძუნწი და იცოდე, რომ „ვინცა ჰ ფლანგავს, იგი თავის მემკვიდრესა ჰ პარავს, ვინცა ჰძუნწობს, იგი ჰპარავს თავის თავსა“.

**ღმერთმა** გიხსნათ სიღარიბისაგან, ხოლო იცოდეთ კი, რომ „კაცი მაშინ არის ღარიბი, როცა სურვილი სჭარბობს ღონესა და როცა წადილი მეტი აქვს ქონებაზედ“.

**ღმერთმა** ღონე მოგცეთ და გაგაძლიეროთ, ხოლო იცოდეთ კი, რომ „ღონე იმისთვის მოუნიჭებია ჩვენთვის ღმერთს, რომ ჩვენი ქონება შევინახოთ და არა იმისათვის, რომ სხვისა დავიჩემოთ და დავისაკუთროთ“.

**ღმერთმა** ბევრი ფული მოგცეთ, ხოლო იცოდეთ კი, რომ „ფული ბატონად ძალიან ცუდი ბატონია და მოსამსახურედ კი მეტად კარგი მოსამსახურეა. არც კი ეს დაივიწყოთ, რომ „ყოველთვის, როცა კაცს ბუზმენტებით მორთულსა ჰხედავთ, იცოდეთ, რომ მის მახლობლად სხვა კაცი ძონძშია გახვეული“.

**ღმერთმა** მაგარი ხასიათი მოგცეთ და იცოდეთ, რომ „ჭკვიანი კაცი კი მალე წახდება, თუ ჭკუასთან ერთად სიმაგრე ხასიათისა არა აქვს. ვისაც დიოგენის ფარანი აქვს, იმას მისი ყავარჯენიც უნდა ჰქონდეს“.

**ღმერთმა** მშვიდობა და მოსვენება მოგცეთ, ხოლო იცოდეთ, რომ „ყველაზედ ტკბილი მოსვენება იგია, რომელიც შრომით არის ნასყიდი“.

**ღმერთმა** ერთმანეთის ძმობა, ერთობა მოგმადლოთ და იცოდეთ, რომ “დიდად ძალოვანი კაციც კი უღონოა, თუ მოძმენი მხარს არ მისცემენ”. არც ეს დაივიწყოთ, რომ „როცა ჭკვიანები და პატიოსნები ერთად მოქმედობენ, მაშინ სულელნი და ფლიდნი უღონონი არიან”.

**ღმერთმა** გიმრავლოთ და გიდღეგრძელოთ შვილები, ხოლო იცოდეთ კი, რომ სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა
უწვრთელის შვილის ყოლასა.

დასასრულს გისურვებთ, ღმერთმა თქვენის ქვეყნის სიყვარული გაგიძლიეროთ და იცოდეთ, რომ „რაც უნდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსანს გულში მაინც ყველაზედ დიდი ადგილი უჭირავს“.

ამინ და კირილეისონ!..

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!



***საახალწლო გაზეთის ნომერზე მუშაობისას ბუნებრივია, ჩვენი ქალაქის გალამაზებული, განახლებული, შეცვლილი ინფრასტრუქტურის გამო უპირველესად ქ. ხობში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ბატონ კობა თუთბერიძეს შევეხმიანე, იმის იმედით, რომ თუ არა მას, სხვას უკეთ ვის უნდა მოეთხრო მკითხველისთვის ქალაქის ინფრასტრუქტურაზე, მშენებარე ცენტრალურ პარკზე (მეორე ეტაპი დაიწყო), სხვა ახალ მშენებლობებზე...***

***გთავაზობთ მასთან საუბრის ჩანაწერს იმის იმედით, რომ იგი საინტერესო იქნება გაზეთის მკითხველისთვის.***

# მშვენდება ჩვენი ქალაქი...

უპირველესად ყველა ჩემს თანაქალაქელს, მთელს საქართველოს ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს.

დაე, 2020 წელი ყოფილიყოს ბედნიერების, სიკეთის, სიუხვის მომტანი ჩვენი ხალხისთვის.




მინდა საუბარი ჩემი ქალაქით დავიწყო, რომელიც დედამიწის ზურგზე ყველა ქალაქს მირჩევნია, რადგან მშობლიური და შეუცვლელია. მიხარია, რომ იგი დღითიდღე ვითარდება და მშვენდება. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით ის ხდება ისეთი, როგორიც უნდა იყოს თანამედროვე ქალაქი. პრიორიტეტულად აღებული კურსი ნიშნავს იმას, რომ არ მოხდეს ახალგაზრდების გადინება როგორც ქალაქიდან, ასევე ქვეყნიდან. მათ უნდა მოუარონ თავიანთ სახლს, ქალაქს, ქვეყანას და ამისთვის მათ უნდა შევუქმნათ აუცილებელი პირობები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მთელს ინფრასტრუქტურას–საფუძველს განვითარებისთვის და მომავლის შენებისთვის.

წელს ყველა ხობელისთვის საყვარელი „ახალგაზრდული პარკი“ ხალხის სამსახურში ჩადგა. იგი ყველა თაობის ხობელთათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია და შეიძლება ითქვას, ხობის სავიზიტო ბარათია.

მადლობა მინდა გადავუხადო იდეის ავტორს და სულისჩამდგმელს, ჩვენს მაჟორიტარს ბატონ ირაკლი (დაჩი) ბერაიას, ადგილობრივ ხელისუფლებას და ყველა იმ ადამიანს, რომელიც დღე-ღამ იღწვის ქალაქის კეთილდღეობისთვის.



მშენებლობის პირველი ეტაპი დასრულდა, ამჟამად მიმდინარეობს მე-2 ეტაპის სამუშაოები, რომელიც მომდევნო წლის გაზაფხულზე დასრულება. იდეაშია მე-3 ეტაპის სამუშაოები, რომელიც მთლიანად თამარ მეფის სანაპიროს კეთილმოწყობას ითვალისწინებს.

ქალაქს წელს შეემატა შ.პ.ს. „ლევვის“ მიერ აშენებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

წლის ბოლოსთვის იგეგმება საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ახალი შენობის ექსპლოატაციაში შესვლა.




მომავალი წლის დასაწყისში დასრულდება „საზოგადოებრივი ცენტრის“ მშენებლობა.

ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკისა და საკონფერენციო დარბაზით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება.



ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ეხება ქალაქის ქუჩების რეაბილიტაციას. სახელდობრ რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, ცოტნე დადიანის, ალიო მირცხულავას, სამეგრელოს ქუჩაზე არსებულ სანიაღვრე არხებს ჩაუტარდათ სრული რეაბილიტაცია.

ჩამოსათვლელი ბევრია, მაგრამ გამოვყოფდი გარეუბნებში შესრულებულ სამუშაოებს. „კოლხეთის დასახლებაში“ უკვე დასრულდა გაზიფიცირება (აქ ძირითადად აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახები ცხოვრობენ). უკვე მრავალი ოჯახი სარგებლობს ამ სიკეთით. მოგვარებულია სასმელი წყლის პრობლემა. მოხდა მოსახლეობის აბონენტად აყვანა-გამრიცხველიანება. ყველა ოჯახში შეყვანილია სასმელი წყალი. მომავალში დღის წესრიგში დგას ამ დასახლებაში არსებული დიდი მოცულობის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, რამეთუ ეს არხები წარმოადგენს ქალაქის განტვირთის ძირითად არტერიას.

არ შემიძლია, როგორც ყოფილი სპორტსმენი და მწვრთნელი, არ შევეხო ჩვენს სპორტულ მიღწევებს, ქალაქში არსებულ სპორტულ ინფრასტრუქტურას. ხობი ყოველთვის გამოირჩეოდა სახელოვანი სპორტსმენებითა და სპორტული ცხოვრების დონით, თუმც დღეისდღეობით სპორტული ინფრასტრუქტურა ასე ვთქვათ, არ არის იმ სიმაღლეზე, როგორიც უნდა იყოს. დიდი იმედი მაქვს, მალე დასრულდება მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა და ახდება მრავალი თაობის ოცნება. ქალაქს შეემატება უახლესი, თანამედროვე სპორტის სასახლე.

ყოველთვის მითქვამს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ტრიალებს ძალიან დიდი მადლი. მიუხედავად დიდი გამოწვევებისა, ხობს მრავლად ჰყოლია სასიქადულო შვილები ყველა დარგში, მათ შორის დიდი სპორტსმენები.

სიამაყით შემიძლია გაუწყოთ, რუმინეთის ქალაქ კონსტანტაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე მკლავჭიდში, პირველად მკლავჭიდის ქართულ სინამდვილეში ხობელებმა შეძლეს 6 ოქროს, 2 ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვება. ამ სპორტული შედეგებით ხობი პირველია საქართველოს ქალაქებსა თუ რეგიონებს შორის.

ხობელებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ ულევ სიხარულს და ბედნიერებას.

***ჯულიეტა ლატარია.***

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

## მრავალ შობა-ახალ წელს სიყვარულითა და გამარჯვებით...

გილოცავთ ძვირფასო ქართველებო, საყვარელო ხობელებო, ჩემო გურფულელებო დამდეგ შობა-ახალწელს. მშვიდობის, სიკეთის, ჯანმრთელობის, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს თითოეული ჩვენთაგანისთვის 2020 წელი.

ამ პოლიტიკურ გნიასში სიყვარულისა და მოფერებისთვის მოცლა რომ „გამოგვაცალეს“,სათქმელი დამძიმდაო თითქოს, რაღაცნაირად შემკრთალები და სიტყვაძვირიანები გავხდით.



დიდი ილია შიშობდა, „ოდეს სიტყვა თავისთავს დაემალება და კეთილად ვერ გაიმეტება, მაშინ წაუვა ქვეყანას ცუდად საქმეო!..“ ღმერთმა დაგვიფა-

აბა სხვაგან სად გიხილავთ, ან გაგიგიათ–ამდენი უგენიალურესი ადამიანების, უჭკვიანესი ყმაწვილებისა და უნიჭიერესი შემოქმედების სამყოფლო, ვიდრე საქართველოა, ვიდროს ასეთ მდგომარეობაში ვიყოთ, მაგრამ სატელევიზიო და საერთოდ, მედიასივრცის ასეთმა „თალხმა ფერმა“ ბევრს დაუკარგა რწმენა და იმედი საკუთარი თუ სამამულო ძალისხმევისა. არადა, ყველაფერი კარგად იქნება, უამრავი კატაკლიზმებისთვის გაგვიძლია და ახლაც დავძლევთ გასაჭირსა თუ უქონლობას, მთავარია სიყვარული არ დავკარგოთ, როგორც პოეტი იტყოდა: „სულის ადგილი ხორცს არ დავუთმოთ...“

ჩვენ საოცარი ერი ვართ. ერი, რომელმაც მთელ საქრისტიანოში ერთადერთმა შეძლო „საკუთარი“ უფალი ჰყოლოდა, ანუ „ღმერთი“, რომელიც არ განმეორდების და ვერანაირად ვერ იშვების, ოდენ ქართულისა“, დიახ, იოანე ზოსიმეს ეს სიტყვები განსხეულებულია იმ ჭეშმარიტებით, რომელსაც ასე ვუფრთხილდებით საუკუნეების მიღმიეთიდან და ვხატავთ, ვქარგავთ, ვწერთ, ვძერწავთ–ჩვენს, ანუ ქართულ იესო ქრისტეს, განუსაზღვრელი და ცაუწვდომი სიყვარულისა და სიკეთის მეუფეს...

ჩვენ ყოველივეს ლოცვით ვიწყებთ, დილა მისი დიდებით ნათდება და მიმწუხრიც მისი ამაღლებით სრულდება. თვით „ქართული ბიბლიაც“ ასე იწყება: „ჰე, ღმერთო ერთო...“,–ამიტომაც უფალი არასდროს გასწირავს ღვთისმშობლის წილხვდომილ ამქვეყნიურ სამოთხეს, მთავარია, ჩვენ არ დავკარგოთ რწმენა და არ განვეშოროთ ზეციერს. არ დავკარგოთ სიყვარულისა და პატივისცემის უნარი.

რე ეს დალოცვილი ქვეყანაა. გავუფრთხილდეთ მას, ვიშრომოთ და ნახავთ, ჩვენისთანა ლამაზი და ბედნიერი ერი თუ სადმე იქნა. „მარტოდ ენასაუბრითა ვერ მოიწევს საქმეს სამწყსოს!“–ამიტომაც, ღვაწება და მუხლმოუხრელი ღვაწებაა გადამრჩენი ჩვენი ერისა.

დარწმუნებული ვარ სწორედ ამ გზით მავალ ჩვენს ქვეყანას ვერაფერი შეუშლის ხელს იყოს გამორჩეული და ბედნიერი. ძალიან ბევრი წუხილი და სამარცხვინო რამეებიც გადაგვხვდა უახლოეს წარსულში, თუმცა ერთობლივი ძალისხმევით ესეც დავსძლიეთ და ბოროტებაზე სიკეთე ვაზეიმეთ. არც მომავალში დავუშვებთ უკეთურების გამარჯვებას და ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი ქვეყნისა და მომავლის საკეთილდღეოდ!

მოახლოებულ შობა-ახალი წლის დღეებში არ შემიძლია ხაზგასმით არ ვისაუბრო ჩემს მშობლიურ სოფელზე.

პირველი და მეორე გურიფული, როგორც მოგეხსენებათ, ისე ახლოსაა მუნიციპალიტეტის ცენტრთან, როგორც ჩვენი მასწავლებელი მერი აბრამია ბრძანებდა, შეიძლება გურიფულით გაიზომოს მუნიციპალიტეტის სიავ-კარგეო!–ასე, რომ სწორედ ჩვენი სოფელი წარმოადგენს გარე სილამაზეს ჩვენი ქალაქისას. შეძლებისდაგვარად მზრუნველობა არ აკლია ჩვენს სოფელს, რისთვისაც მადლობას ვუცხადებ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და ჩვენს მაჟორიტარს–ბატონ ირაკლი (დაჩი) ბერაიას.

ამის პირნათელი დასტურია: სოფლის სავალი გზის განათება ლამპიონებით, რომელიც ძალიან დიდი ხნის ნატვრა გახლდათ ჩვენი მოსახლეობისა;

სოფლის ეკლესიამდე და სასაფლაომდე ძვირადღირებული ბეტონსაფარიანი გზის შეყვანა;

სოფლის ცენტრში ძველი მოსაცდელი ნაგებობის დემონტაჟი და ახლის, თანამედროვე ტიპის, აგურის შენობის ალმართვა.

ამდენი ჯაფისა და მეცადინეობის, მრავალი ინსტანციის „შეწუხების“ გამოისობით მიღწეულია შეთანხმება სოფლის გაზიფიცირების თაობაზე, რომლის შემოყვანა, ერთ-ერთი და შეიძლება ითქვას–მთავარი მოთხოვნა იყო გურიფულელებისა.

მოგეხსენებათ, ჩვენი სოფელი კოლხეთის დაბლობის შუა წელს წარმოადგენს და აქ მუდმივად დგას პრობლემა სანიაღვრე არხებისა და წყალსაწრეტების დამუშავება-გაწმენდისა, რადგანაც ჭარბი ტენი არ აძლევს საშუალებას განვითარებისას არც მრავალწლოვან და არც ერთწლიან კულტურებს. ასევე მეტად ცუდ გავლენას ახდენს ადამიანების, განსაკუთრებით პატარების, მოზარდების ჯანმრთელობაზე. ამიტომაც დაგეგმილია სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება და სანიაღვრე არტერიების გაწმენდა-განახლება.

სოციალურ პროგრამებსა და სხვადასხვა სახის დახმარებებზე არაფერს ვამბობ, ამ მიმართულებით, კიდევ უფრო ველოდებით დახმარების პაკეტების გაზრდას...

მოკლედ, ეს გახლავთ ის თემები, რომელთა გაცხადება თამამად შეგვიძლია, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს, ყველაფერი წინაა.

იმედია, მომეცემა საშუალება, ჩვენს მოსახლეობას შობა-ახალი წელი უფრო გაშლილ, „ღიმილიან“ ფორმატში მივულოცო. მიყვარხართ, მეიმედებით...

უფალმა მრავალ შობა-ახალ წელს დაგვასწროს ბედნიერად და წარმატებულად, მშვიდობიან, ერთიან საქართველოში.

***სიყვარულითა და კეთილი სურვილებით***

***ნანა გვასალია***

## გისურვებთ უზენაესის მადლსა და წყალობას



ხობს, ხობელებს და სრულიად საქართველოს გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! განსაკუთრებულად მინდა მივულოცო შობა-ახალი წელი ა(ა) იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ თანამშრომლებს, ჩვენს პატარა აღსაზრდელებს, რომლებსაც უამრავი ნატვრა და სურვილი ექნებათ საახალწლოდ.

2019 წელი სკოლამდელების ცხოვრებაში სიახლეების წელი იყო. საბავშვო ბაღებში არაერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი განხორციელდა.

მოდის ახალი, უფრო მეტი წარმატებისა და აღმავლობის წელი. გჯერა, ერთიანობითა და თანადგომით შევქმნით უკეთეს მომავალს.

ახალი წლის ყოველი დღე ახალი შთაგონებით, ახალი ჩანაფიქრებითა და ახალი ენერგიით ყოფილიყოს სავსე.

გისურვებთ მშვიდობას, სიკეთეს, სიყვარულითა და სათნოებით გამთბარ გულებს, მოთმინებას, უზენაესის მადლსა და წყალობას.

მრავალ შობა-ახალ წელს დაესწარით!

*ეკა ხასია,*

*ა(ა) იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ დირექტორი.*

## 2020–ერთობის, გამთლიანების წელი



სამუსიკო სკოლის ადმინისტრაცია ულოცავს დამდეგ ახალ, 2020 წელს სამუსიკო სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებს, ხობელებს და სრულიად საქართველოს.

ეს წელი ყოფილიყოს ერთობის, გამთლიანების და წარმატების წელი.

2019 წლის შემაჯამებელი საახალწლო კონცერტი, რომელიც სამუსიკო სკოლის დარბაზში ჩატარდა, იყო ერთგვარი შეჯამება სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების შემოქმედებისა, წინაპირობა მომავალი წარმატებების... კიდევ ერთხელ გილოცავთ.

*თამარ ხუნწარია,*

*სამუსიკო სკოლის მენეჯერი.*

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

# „წინ ახალი გამოწვევები მელოდება“

## ბორის ბერაია–მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი

***ბატონო ბორის, წლის მიწირულს ყველა სამსახური აჯამებს შედეგებს. არც თქვენი სამსახურია გამონაკლისი, მაგრამ ვიდრე მთავარ საკითხზე გადავიდოდეთ, გაიხსენეთ მიმდინარე წლის ყველაზე ბედნიერი დღე.***

–მოგესალმებით, მივესალმები თქვენს მკითხველს.

2019 წელი ვფიქრობ, რომ გამორჩეული იყო ჩემთვის, და არა მარტო, რადგან ჩემს ქალაქს შეემატა კიდევ ერთი უნიკალური ობიექტი ცენტრალური პარკი, რომლის მეორე ეტაპის სამუშაოები წარმატებით გრძელდება. ვთვლი, რომ ბედნიერებაა, როცა ჩვენისთანა პატარა მუნიციპალიტეტს ჰყავს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდები, რომლებმაც მრავალი ბედნიერი და საამაყო დღეები გვაჩუქეს. დიდი მადლობა მათ ამისთვის.

ასე რომ, გამორჩეულად ბედნიერი დღე, ვფიქრობ, არც არსებობს. რადგან ყოველი დღე ადამიანისთვის უფლის წყალობა და სიყვარულია, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ.

***დარგთა მრავალფეროვნების გამო არც თუ ისე ადვილია კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის ხელმძღვანელობა, როგორ ართმევთ თავს მასში შემავალი განსხვავებული დარგის მართვას?***

–გეთანხმებით, არ არის ადვილი უხელმძღვანელო ერთმანეთისგან განსხვავებულ სფეროებს. ვფიქრობ, რომ ჩემი სამწლიანი მუშაობის პერიოდი საინტერესოც და ამავდროულად შრომატევადი იყო. წილობრივად ყურადღებას ვაქცევდი ყველა მიმართელებას, აიპ-ში შემავალ ყველა სფეროს.

ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელობა, რადგან აქ შევიძინე და გავიცანი უამრავი პროფესიონალი ადამიანი, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ და ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. შევიძინე ბევრი მეგობარი, მათთან სამსახურებრივი და პირადი ურთიერთობები მთელი ცხოვრების მანძილზე სასიამოვნოდ გამყვება. სწორედ ასეთ ადამიანებთან მუშაობამ შემაძლებინა ერთმანეთისგან განსხვავებული დარგის მართვა.

კულტურა განსხვავებული სფეროა და განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. თამამად შეიძლება ვთქვა, ხობის კულტურის სფეროს, ჰყავს პროფესიონალი და გამოცდილი თანამშრომლები, რომლებსაც განსაკუთრებული დაფასება სჭირდება.

***თვითკმაყოფილებას განიცდით? მართვისას რა***



***არის თქვენთვის მთავარი პრინციპი, შეფასების მთავარი კრიტერიუმი?***

–თვითკმაყოფილებას ნამდვილად არ განვიცდი, რადგან გასაკეთებელი ბევრი დამრჩა.

ჩემთვის მართვის მთავარი პრინციპია საქმისადმი ერთგულება, სიყვარული და ადამიანებთან ურთიერთობა.

***ცენტრის თითქმის ყველა ღონისძიებას ესწრებით, როგორ ახერხებთ ამას, რა არის ეს, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა თუ უბრალოდ მოვალეობა?***

–მიუხედავად ზოგჯერ გადატვირთული გრაფიკისა, ვახერხებ დავესწრო ცენტრის მიერ ჩატარებულ თითქმის ყველა ღონისძიებას. რა თქმა უნდა, ეს არის პასუხისმგებლობის გრძნობა და ამავდროულად იმ ადამიანების პატივისცემა და დაფასება, რომლებიც დიდ შრომასა და ენერგიას დებენ ღონისძიების ორგანიზებაში.

***რას ნიშნავს თქვენთვის ოჯახი, ტრადიციული ხართ?***

–ოჯახი ჩემთვის წმინდა ადგილია, სადაც თავს მშვიდად ვგრძნობ. რა თქმა უნდა, ტრადიციული ვარ. მიყვარს ყველა ის ადამიანი, ვინც ოჯახს, სარწმუნოებას და ქართულ ტრადიციებს პატივს სცემს.

***თქვენი ხასიათის სუსტი წერტილი?***

–თუ ამას სუსტ წერტილად ჩამითვლით, ვარ ზედმეტად მიმნდობი და ლმობიერი. ზოგიერთებს ეს სისუსტედ მიაჩნიათ, მაგრამ ვთვლი, რომ სწორედ ეს არის ჩემი სიძლიერე. „დიქტატურით“ და მაგიდაზე ხელის დარტყმით, საქმის კეთება ყველაზე ადვილი გამოსავალია. ადამიანი სიტყვით უნდა ფასობდეს და არა „დიქტატურით“...

ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, არცერთ შემთხვევაში არ შემიხედავს თანამშრომლისთვის სამსახურებრივი სიმაღლიდან, თუნდაც ახალგაზრდობის წლებში და თამამად გეტყვით, ეს არასოდეს მინანია.

***ტრადიციულად სად და ვისთან ატარებთ ახალწლის ღამეს?***

–ახალ წლის ღამეს ტრადიციულად, მშობლებთან და ოჯახთან ერთად ვატარებ. რადგან ჩემს პატარა პრინცესას „ვენატრები“, ის ყოველთვის აფიქსირებს სახლში ჩემს იშვიათად ყოფნას.

***თქვენი ჰობი?***

–ჩემი ჰობი ფეხბურთი და სპორტია. ბავშვობაში ყოველთვის მინდოდა ფეხბურთელი ვყოფილვიყავი, მაგრამ ჩემი ფიზიკური მდგომარეობა (ჭარბი წონა), ყოველთვის ხელს მიშლიდა ამ სურვილის განხორციელებაში.

***ვიდრე ცენტრის დირექტორი გახდებოდით, სხვადასხვა სფეროს მოსინჯვამ მოგიწიათ, თვლით, რომ თქვენი ადგილი იპოვეთ?***

–ჩემი სამსახურებრივი კარიერა ელექტრო შემდუღებლობიდან დაიწყო (კოოპერატივი „ლალი“), შემდეგ ბანკში სპეციალისტად ვმუშაობდი. 26 წლის ასაკში საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა ამირჩიეს ქ. ხობის საკრებულოს თავმჯდომარედ (ქალაქის მერად), 2003 წელს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, შემდგომ კი სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ეკონომიკის დარგში. 2013-2015 წლებში კი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვიყავი.

უფლის მადლიერი ვარ, რადგან ყველგან მივიღე და დავაგროვე გამოცდილება, გავიცანი და ვითანამშრომლე ერთმანეთისგან განსხვავებული პროფესიის ადამიანებთან, რაც დღესაც ძალიან მეხმარება...

რაც შეეხება „ადგილის პოვნას“, ჯერ კიდევ ახალგაზრდად ვთვლი თავს. მომავალი წინაა და ცენტრის ხელმძღვანელობით კეთილი საქმის კეთებას, ხალხის მსახურების შეჩერებას არ ვაპირებ. ვფიქრობ და მგონია, მიუხედავად ცხოვრების აღმართ-დაღმართისა, წინ ახალი გამოწვევები მელოდება. ვნახოთ, უფალი რას ინებებს, სხვა მფარველი ისედაც არავინ მყოლია და არც მინატრია, „კაცის კაცი“ არასდროს ვყოფილვარ.

***ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი ბრძანდებით, როგორ აფასებთ კოლეგიის მუშაობას, რა არის საჭირო გაზეთი უფრო ქმედითი რომ იყოს, ასახავს თუ არა იგი მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს?***

–მინდა გითხრათ, ყოველთვის მეამაყებოდა რომ ხობში გაზეთის დაარსებიდან, ამ სფეროში განსაკუთრებულად გამორჩეული ადამიანები მუშაობდნენ, რომლებმაც იცოდნენ და იციან თუ რას ნიშნავს ჩადგე ქვეყნის სამსახურში და ემსახურო საკუთარ ქვეყანას, საკუთარ მოსახლეობას. ქედს ვიხრი თქვენი და თქვენი სარედაქციო კოლეგიის წინაშე, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ, იმ შრომისა და ღვაწლისთვის, რასაც



თქვენ აკეთებთ, ეს რჩეულთა ხვედრია. მინდა წარმატებები გისურვოთ მომავალშიც.

ჩვენი გაზეთი ასახავს ხობის რეალობას, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს. „ხობის მოამბე“ იმით არის გამორჩეული, რომ აქ არ იზღუდება თავისუფალი აზრი, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გამოხატოს თავისი მოსაზრება, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

***ბატონო ბორის, მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ, მოკლედ შეაჯამეთ ცენტრის მუშაობის ბოლო ერთწლიანი პერიოდი.***

–ცენტრში ბოლო ერთწლიანი პერიოდი დატვირთული და ამავდროულად ნაყოფიერიც იყო, რადგან საფუძველი ჩაეყარა რაიონის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „კოლხეთს“ და ბავშვთა თეატრალურ დასს. ამ საკითხის ბოლომდე მიყვანა მუნიციპალიტეტისთვის იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა ჩემს თანამშრომელს, რომლებიც გვერდით მედგნენ, ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ, მათზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

***ვინ გეიმედებათ, თვლით რომ ძლიერი გუნდი გყავთ?***

–მეამაყება და მეიმედება ჩემი ოჯახი და ის დიდი სამეგობრო წრე, რომლითაც ნამდვილად მდიდარი ვარ და ვამაყობ, რომ ძლიერი და ერთგული გუნდი მყავს, თუმცა ურთიერთობაში ხდება, რაღაც გამონაკლისები, რომელზეც საუბარი შემდეგისთვის გადავდოთ.

***როგორ წარმოგიდგენიათ ცენტრის ხვალინდელი დღე?***

–ცენტრის ხვალინდელი დღის წარმოდგენა, მინდა დავიწყო, იქიდან რომ, აუცილებელია მოხდეს გამიჯვნა, ცენტრს უნდა გამოეყოს სპორტი და ჩამოყალიბდეს ცალკე ა(აიპ)-ად, ვფიქრობ, ასე უფრო განვითარდება კულტურაც და სპორტიც, რომლითაც ასე ვამაყობთ ხობელები. ჩვენს ცენტრს გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი და რესურსი აღნიშნული დარგების განვითარებისთვის. იმედი მაქვს, მომავალში ეს ასეც მოხდება. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ცენტრის ხელმძღვანელი, მე სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის ვიქნები იქ, სადაც სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე და შევიძინე.

***თუ საიდუმლო არ არის, რას ისურვებდით ახალი წლის ღამეს?***

–როგორც ყველა ქართველი, ვისურვებდი საქართველოს გაერთიანებას, სოციალურ და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

***ესაუბრა მერი ლაგვილავა.***

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

# ძველი ხიბულის ახალი სიცოცხლე

ვიდრე მკითხველს მოვუყვებოდე მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ხიბულაში მიმდინარე მშენებლობებზე, უპირველესად, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორს ბატონ ბორის ბერაიას, რომელმაც მომცა საშუალება ჩემს კოლეგებთან ერთად საკუთარი თვალით მენახა, რა ხდება სოფელში, შევხვედროდი ხალხს, იმ ადამიანებს, რომელთა ძალისხმევა პირდაპირი მნიშვნელობით მიმართულია იქითკენ, რომ პატიოსანი შრომით წვლილი შეიტანონ იმ აღმშენებლობის საქმეში, რომელიც ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახელის უკვდავყოფას უკავშირდება.

ადრეც მითქვამს და ახლაც ვამბობ, ზვიად გამსახურდია–დიდი კონსტანტინეს ერთადერთი ვაჟი, დიდი მეცნიერი, პოეტი, დიდი მოწამე და სამშობლოს საკურთხეველზე სიცოცხლის ზვარაკად მიმტანი ერის შვილი, მისი უზომოდ მოყვარული...

გვახსოვს, საგანგებო სამსახურები არაფერს იშურებდნენ, რომ ხალხში მისი სიძულვილი დაეთესათ, მაგრამ ამაოდ, დრო გადიოდა და უფრო და უფრო მუშაობდა ტრადიციულად შემოწმებული და უაღრესად ობიექტური პროცესი... დღითიდღე იზრდებოდა მისადმი სიყვარული.

26 წელი გასულა მას შემდეგ, რაც საბოლოოდ წერტილი დაესვა ამ ადამიანის სიცოცხლეს, მაგრამ მოხდა უჩვეულო რამ, მისმა სიკვდილმა შვა ახალი სიცოცხლე, მისი სახელის უკვდავება, განუზომელი სიყვარული, დღემდე ღადარში მინავლებული და დღითიდღე ბრწყინვალება მოძალებული.

ძველი ხიბულის ეს ისტორიული მიწა-წყალი დღესაც ტკივილიანია, მიწას ცრემლის ოხშივარი ასდის იმ ღალატისა და ბატონ ზვიად გამსახურდიას ჯერ კიდევ ბურუსით მოცული სიცოცხლის ბოლო დღეების გამო...

დღეს ხიბულელები, და არა მარტო, დიდი სიყვარულის ნაყოფს იმკიან, როგორც ადრე დავაანონსეთ, აქ, მე ვიტყოდი, მაია დადიანის ხელდასმული ისტორიული სოფლის გაახლება ხდება...

* * *

ჩემი სტუმარი გახლავთ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, თავისი კუთხის და სრულიად საქართველოს გულისცემის მოყურადე, დიდებული, ერის მოჭირნახულე ოჯახის შვილი და ამჟამად თავად მამამთავარი ბატონი ხვიჩა შონია. მასთან საუბრისას ბევრი რამ უკეთ წარმოჩინდა, ვიდრე მეგონა.

**ხვიჩა შონიას მონათხრობიდან:**

„1993 წლის 31 დეკემბერს, ძველ ხიბულაში, ლუდა და კარლო ღურწკაიების ოჯახში მოხდა ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ლიკვიდაცია.

ეროვნულსა და ანტიეროვნულ ძალებს შორის ჭიდილში წლები გადიოდა, სახლი, სადაც ბატონი ზვიადის სული ტრიალებდა, მიუხედავად ჩვენი ყურადღებისა, თანდათან პარტახდებოდა. ჩვენი დიდი სურვილისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მრავალგზის თხოვნისა, სახლის შესყიდვა წინასაარჩევნო დაპირებად რჩებოდა.

საინიციატივო ჯგუფმა (მოგელი აბაკელია, რამაზ სოხაძე, ტრისტან ვადაქარია, გენრი ლატარია, ნანა გვასალია, კობა ლეფსაია, რობერტ გვასალია, მერაბ არაჩემია, ზაზა გელანტია, ელგუჯა მიქაუტაძე), გადავწყვიტეთ სახლის შესაძენად შეგვეგროვებინა თანხა. ეს იყო 2016, ზვიადის გარდაცვალებიდან 23-ე წელიწადი. დიდმა სურვილმა გზა გაგვიხსნა. საქართველოს პირველი პრეფექტის სულმნათი თენგიზ ქაჯაიას ოჯახმაც გაიღო წილი, ამაში მონაწილეობდნენ საქართველოს კონსერვატიული პარტია (ზვიად ძიძიგური, გიგა ბუკია, „აბაშის ეროვნულები“ თამაზ ცომაია), ადმინისტრაციულ ერთეულებში ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები და მოვახერხეთ კარლო ღურწკაიასგან შეგვესყიდა სახლი...

2018 წლის მარტში ტრისტან ვადაქარიასთან ერთად შევხვდი კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებს და გადავწყვიტეთ კულტურის მინისტრისთვის (მიხეილ გიორგაძე) მიგვემართა თხოვნით, სახლისთვის მიენიჭებინათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. აგვისტოში სახლს მიენიჭა მემორიალური ძეგლის სტატუსი. ამისთვის საინიციატივო ჯგუფის სახელით უდიდესი მადლიერება მინდა გამოვხატო კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ხელმძღვანელის ნიკა ანთიძის მიმართ.


საბავშვო ბაღის შენობა ღამით

გასული წლის ოქტომბერში სამეგრელო-ზემო სვანეთში ახლადდანიშნული გუბერნატორი **ალექსანდრე მოწერელია** ჩამობრძანდა ხობში, შეხვდა საინიციატივო ჯგუფს, მუნიციპალიტეტის საზოგადოებას. კულტურის სახლის მცირე დარბაზში ნაჩვენები იყო, **ირაკლი შონიას** მიერ დამონტაჟებული ფილმი „ზვიად გამსახურდია და ეროვნული მოძრაობა ხობში“.

გუბერნატორმა გულისყურით მოისმინა ხობელი ეროვნულების **(დალი გერგაია, როლანდ ჯიქია** და სხვები), სურვილი და შეგვპირდა, გამონახავდა ყველა საშუალებას სახლი გარემონტებულიყო და იქ მუზეუმს დაედო ბინა... მადლობა მას თანადგომისთვის“.

* * *

ამასობაში პირველი პრეზიდენტი 80 წლის გახდა. ძველ ხიბულაში პარტია „ქართული ოცნება თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე ბატონი ბიძინა ივანიშვილი ჩამობრძანდა, შეხვდა მოსახლეობას და იქვე გადაწყდა, რომ ძველ ხიბულაში აშენდებოდა ეკლესია, საბავშვო ბაღი, გაიხსნებოდა ზვიად გამსახურდიას სახელობის მუზეუმი, დაიგებოდა გზები, სოფლის გაზიფიცირება დაიწყებოდა... ერთი სიტყვით, სრულიად შეიცვლებოდა სოფლის ინფრასტრუქტურა.


ზაალ ნადირაძე

ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალგაზრდა, განათლებული და თავისი სოფლის მოჭირნახულე, ბატონი გოგი გოგინავა ბედნიერებით იხსენებს ამ დღეს.

–ბატონი ბიძინას ჩამობრძანება მოულოდნელი იყო ჩვენთვისაც. მოსახლეობასთან შეხვედრა იმდენად თბილი და უშუალო იყო, მოსახლეობა აღტაცებას და სიხარულს ვერ მალავდა. სტუმარმა თავად ფეხდაფეხ დაიარა სოფლის გზები, ხალხთან ერთად შეარჩია ის ადგილი, სადაც ეკლესია და საბავშვო ბაღი აშენდებოდა.

ბატონი გოგი ღიმილით ყვება: როცა თავისი და ხალხის ატალახებულ ფეხსაცმლებს დახედა, იხუმრა კიდეც, მალე თქვენ ტალახიან გზებზე სიარული აღარ მოგიწევთ, შიდა გზებიც ასფალტო-ბეტონის გექნებათ, დღეიდან დაიწყება თქვენი სოფლის ახალი სიცოცხლეო.

როგორც ხშირად ხდება, ამ სტუმრობასაც და დაპირებასაც არ აკლდნენ ოპონენტები, მოქილიკენი, მაგრამ ერთი კვირის თავზე სოფელს სტუმრები მოუმრავლდა, შემოვიდა ტექნიკა და დაიწყო მართლაც აღმშენებლობა... ხედავთ, ამოყვანილია ეკლესიის სამირკველი, რადგან მისი მშენებლობა სპეციფიკურია, მშენებლობაზე სხვა ჯგუფის მოლოდინში არიან... ამჟამად გაახლებულია მუზეუმიც, მაგრამ მცირე ხარვეზის გამო შეჩერდა. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ მშენებლობის ხარისხი მკაცრად კონტროლდება.

გზად მიმავლები ვხედავთ, როგორც ფართოვდება შიდაგზები, მზადდება ასფალტო-ბეტონის საფარისთვის... თითქმის მთავრდება სოფლის გაზიფიკაციის სამუშაოები.

სოფლის ცენტრში მშენებარე საბავშვო ბაღში ბოლო სამუშაოები მიმდინარეობს (ღებვა, ტექნიკის დამონტაჟება, ეზოს კეთილმოწყობა, უკვე დამთავრდა ბაღის ეზოს განათების სამუშაოები)...

–მშენებლობას აწარმოებს „ქართუ ჯგუფი“. აიპ ასოციაცია „ატუ“, რომელიც საქველმოქმედო სამუშაოებს ასრულებს.

საბავშვო ბაღი 60 აღსაზრდელზე და ეკლესია საქველმოქმედო ხარჯებით შენდება და ამისთვის მილიონნახევარი ინვესტიცია ჩაიდო.

მშენებლობა მაისში დაიწყო და საშობაოდ უნდა ჩაბარდეს–მიყვება უკვე მასპინძლადქცეული სამუშაოთა მწარმოებელი **ზაალ ნადირაძე**. იგი აღფრთოვანებულია ხიბულის ულამაზესი ხედებით, და რაც მთავარია, ხალხით.

–მე მცხეთელი ვარ, მეგრელების სტუმართმოყვარეობაზე, ადათ-ჩვევებზე ბევრი მსმენია და მინახავს, მაგრამ ასეთი პატიოსანი ხალხი არსად შემხვედრია,–მიყვება ბატონი ზაალი.

–იცით, ალბათ, მშენებლების 20 პროცენტი ჩამოსულია, ხოლო 80 პროცენტი ადგილობრივი. ოჯახებში, სადაც ვცხოვრობთ, ისე მიგვიღეს, როგორც ახლობლები, მშენებლობაზე კი, რომ იტყვიან, ერთი აგურიც არ დაგვკლებია...

* * *

...რომ გითხრათ დიდხანს ვისაუბრეთ მეთქი, მოვიტყუებ, მაგრამ მცირე დროც საკმარისია, რომ მისგან შექმნათ პატიოსანი კაცის პორტრეტი, (სამწუხაროდ, ეს სიტყვა გადაფასების ზღვარზეა). მასთან საუბრისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ყოველ დროსა და ხელისუფლებაში შეიძლება დარჩე პატიოსან ადამიანად, მით უფრო სასიამოვნოა, როცა ამაში პირველივე შეხვედრა დაგარწმუნებს...

ამჟამად მიმდინარეობს ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟი, ელექტრო ქურები, სარეცხი მანქანები, საქვაბე... კვების ბლოკიდან II სართულამდე დამონტაჟებულია ლიფტი, ბაღს ექნება 7 აბაზანა, უკვე დამონტაჟებულია ბიოტალი, რომლითაც მოხდება კანალიზაციის გაწმენდა. შემოტანილია ავეჯის ნაწილი, სათამაშოები, სამზარეულო, საკვები ბლოკისთვის ყველა

7

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

6

საჭირო ინვენტარი. ასე, რომ ბაღს ყველა წვრილმანი ნივთი გადაეცემა უფასოდ.

„ქართუ ჯგუფი“ აიპ ასოციაცია „ატუს“ ხელმძღვანელები–ტექნიკური დირექტორი **თენგიზ ჯიქია**, „ქართუ ჯგუფის“ თავმჯდომარე **ნიკა ჩხეტიანი**, თავმჯდომარის მოადგილე **ვახტანგ ცაგარელი** ხშირად სტუმრობენ სოფელს და აკვირდებიან მშენებლობის მიმდინარეობას. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს ჯგუფი აშენებს ქუთაისში საუნივერსიტეტო ქალაქს, სადაც ძველხიბულელი მანუჩარ ქავთარაძის ბრიგადა მუშაობდა. მათ გამოთქვეს სურვილი და ბრიგადა მთლიანად არის ჩართული მშობლიური სოფლის აღმშენებლობაში.

ჩვენი მასპინძლები ვალერი კვარაცხელია, მანუჩარი, მალხაზი და გიორგი ქავთარაძეები, გენო ქებურია, მათგან ყველაზე ასაკოვანი ვახტანგ (კიკო) ქავთარაძე ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რომ მშენებლობაც და ადგილობრივებიც კმაყოფილები იყვნენ...–ამბობს ბატონი ზაალი.

...

არ შეიძლება აქ ნანახით გული სიამით არ აგევსოს, წლების წინ ხომ იმაზე, რაც დღეს ხიბულაში ხდება, ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო (წამოსვლისას ვინანე კიდეც, ყველაფერი ეს აქამდე რომ არ მენახა).

თამამად უნდა ითქვას, რაც ხიბულაში დღეს ხდება, ეს არის ხალხისთვის და წყდება ხალხთან ერთად.

და ბოლოს, ხობელი ეროვნულების სურვილიც მინდა გავასაჯაროო: მშენებარე ეკლესიას ეწოდოს წმინდა ლაზარეს აღდგინების სახელი, მუზეუმის ეზოში აშენდეს კოლხური კოშკი, როგორც სიმბოლო საქართველოს ერთიანობის, პირველი პრეზიდენტის უკვდავებისა რათა გვქონდეს ეროვნულ ისტორიული კომპლექსი „კოლხური კოშკი“ ძველ ხიბულაში.

...გაივლის დრო, ალბათ მცირედი, და ხიბულაში მართლაც დაიწყება ახალი ცხოვრება–კომფორტული გარემო შექმნის ამის პირობას. ბატონ ზაალ ნადირაძის დაკვირვებას დავიმოწმებ და ვიტყვი–აქ ყველაფერი მშობელი ქვეყნის სიყვარულით კეთდება, სიყვარულით, რომელიც უსათუოდ გააერთიანებს ქვეყანას და გადაგვარჩენს.

ამ იმედით ვტოვებ ხიბულას და ისევ ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვებს ვიშველიებ **„ამიერიდან საქართველოს ევლის ჭეშმარიტების, სიკეთისა და ღვთის გზით“...**

ვნახოთ მომავალი რას იზამს...

***მერი ლაგვილავა***

***P.S. შობა-ახალი წლის მობრძანებას ვულოცავ სრულიად საქართველოს, თითოეულ თქვენთაგანს ჩვენი გაზეთის მკითხველო, დაგბედებოდეთ ხვავი და ბარაქა, სიყვარული ერისა, ერისკაცებისა და ერთმანეთისა.***

***ხიბულელების სახელით დაბადების დღეს (1 იანვარს 70 წლის გახდება) და ახალწელს ვულოცავ ბატონ ზაალ ნადირაძეს, ჯანმრთელ დღეგრძელობას ვუსურვებ ოჯახთან ერთად.***

## ლოკოკინების საუფლოში

**ახალი ხიბულა**. აქ, სადაც ვიმყოფებოდით, წარსულში ჩაის პლანტაციები იყო გაშენებული. მეჩაიე ქალები და მანქანა „საქართველოს“ მესაჭეები ტონობით ჩაის ახვავებდნენ და რაიონის სახელს დიდებას მატებდნენ. ახლა კი ამ ტერიტორიაზე ქართველებისთვის არატრადიციული პროდუქტის წარმოება მიმდინარეობს. აღნიშნულ ტერიტორიაზე გაშენებულ ფერმაში ლოკოკინებმა დაიდეს ბინა.

გზად მიმავალს მეჩქარებოდა, მაინტერესებდა მენახა ის საოცარი მოლუსკები, რომლებმაც უკვე გზა იტალიისკენ გაიკვლიეს.

ხიბულაში ჩასულს გასაოცარი სანახაობა დამხვდა. ლოკოკინების ფერმა წარმოშედგენა გადახურულ ნაგებობაში, აქაურობა კი შემოკავებულ, გადაუხურავ



სიმწვანეში ჩაფლულ ტერიტორიას წარმოადგენს, სადაც ჯაგნარში ვაზის ლოკოკინები ბინადრობენ. სანამ იდეის ავტორს, მის დამფუძნებელს შევხვდებოდი, ვფიქრობდი, ალბათ, ლოკოკინები არ საჭიროებენ განსაკუთრებულ მზრუნველობას, კვებასა თუ დათბუნებას. თუმცა, როგორც ვნახე, ამჟერად ეს საოცარი არსებები „თბილად“ გრძნობენ თავს. მათი ჯავშნები მოყავისფრო-მოყვითალო შეფერილობის არიან.

ჩემი რესპოდენტიც გამოჩნდა და შევბით ამივისუნთქე. ჩემეული ემოციების გამო ვღელავდი ნანახით. ვიფიქრე ახლა გავიგებთ მის ბიოგრაფიას და საქმიანობას მეთქი.

თავად ბატონი მერაბი არასოდეს მენახა. გაცნობისთანავე ვკითხე, ვინ არის მერაბ ნადარაია?

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მერაბ ნადარაია დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში. დაამთავრა მოსკოვის გეოდეზიის და კარტოგრაფიის უნივერსიტეტი. არის მიწის მენეჯმენტის და გეოინფორმატიკის სპეციალისტი. მუშაობს დედაქალაქში თავისი სპეციალობით, თავისივე საწარმოში. ცხოვრობს თბილისში და ახალ ხიბულაში. მშობლები მშრომელი ადამიანები გახლდნენ. ახალგაზრდა ბიზნესმენი დაოჯახებულია. ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟიშვილი და შვილიშვილები...

***საიდან და რატომ ლოკოკინები?***

–ბევრი გამიგია ლოკოკინებზე, მის კვებით ღირებულებებზე, მედიცინასა და კოსმეტიკაში მისი ლორწოს გამოყენებაზე. გავიგე, იტალია ამით არის დაინტერესებული. ბაზარიც თავისუფალია, არის მოთხოვნადი პროდუქტი როგორც იტალიაში, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

***რომელი პროგრამით ჩაერთეთ ამ საინტერესო საქმეში?***

–ორი წლის წინათ, როცა იტალიაში ლოკოკინას ფერმები ვნახე, მაშინ ჩავერთე ამ საქმეში ერთიანი აგროპროექტის პროგრამით. მივიღე დაფინანსება შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში 1260000 ლარის ოდენობით, ასევე განვახორციელე ინვესტიციები საკუთარი სახსრებით–450 000 ლარის ოდენობით. იტალიაში შევიძინე 300 000 ცალი საწაშენე ლოკოკინა. ამჟამად გვაქვს საკუთარი ინკუბატორი და ჩვენ თვითონ გამოვყვავს ლოკოკინები.

ცნობისთვის გეტყვით, ჯერჯერობით საქართველში ანალოგიური ფერმა არ არსებობს. ამასთან ერთად ამ დარგის



პოპულარიზაციას ვანხორციელებთ. გვაქვს ბევრი გამოხმაურება ფერმერებისგან. უკვე საქართველოს მასშტაბით 5 ფერმას ვაპროექტებთ.

***რთულია მათი გამოზრდა, საკვებად რას იყენებთ?***

–მათი გამოზრდა რთული არ არის, მაგრამ საჭიროა გარკვეული ცოდნა და მომზადება. საკვებად გამოიყენება სპეციალური კომბინირებული საკვები და ბოსტნეული, ძირითადად კომბოსტო.

***რას იტყვით მათ გამრავლებაზე?***

–მათი გამრავლება ხდება წელიწადში ორჯერ კვერცხების საშუალებით. ეს კვერცხები წარმოადგენს ხიზილალას, რომელიც საკვებად გამოიყენება და ერთგვარ დელიკატესს წარმოადგენს.

***ვინ არიან თქვენი პარტნიორები?***

–ჩვენი პარტნიორია იტალიის მოლუსკების ინსტიტუტი, რომელიც ლოკოკინების უმსხვილეს მწარმოებელს წარმოადგენს ევროკავშირში.

***სად იგზავნება პროდუქტი და რა ფასებში იყიდება?***

–პროდუქტი იტალიაში იგზავნება. ევროკავშირში მისი ფასი 3-დან 5 ევრომდეა. მყიდველები საქართველოშიც არიან. მას აქტიურად მოიხმარენ მესხეთში. ასევე იყიდება თბილისში დიდ სუპერმარკეტებში. ჩვენ ვღებულობთ მოსავალს 50 ტონის ოდენობით და ვაგზავნით იტალიაში.

***რამდენი ადამიანი მუშაობს ძირითადად გამოზრდაზე?***

–ლოკოკინას გამოზრდაზე ფერმაში მუდმივად 10 ადამიანია დასაქმებული, სულ კი 35.

***რას გვეტყვით სამომავლო გეგმებზე. გაფართოებას გეგმავთ?***

–დიდია სამომავლო გეგმები. ვაპირებთ გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას, სადაც დაინერგება ლოკოკინას ხორცის წარმოების გარდა ლორწოსა და ხიზილალას დამუშავება და მომხმარებლისთვის ასეთი სახით მიწოდება.

ლოკოკინას აქვს სამი ძირითადი პროდუქტი: ხორცი და ხიზილალა, რომლებიც საკვებად, ხოლო ლორწო კოსმეტიკასა და მედიცინაშია გამოყენებული.

ლოკოკინას რამდენიმე სახეობა არსებობს, მაგრამ ყველაზე პოპულარულია Helix Aspersa maxima და Helix Aspersa muller ეგრეთწოდებული ვაზის ლოკოკინები. ჩვენ გვყავს maxima.

***კიდევ გვეტყვით რამეს ლოკოკინებზე, ე.ი. საერთოდ ამ საქმიანობაზე?***

–ეს საქმიანობა ძალიან მომგებიანია. მისი მოგების წილი აღწევს 90%. მოსავლელად მარტივია, არ მოითხოვს დიდ შრომით რესურსებს. შესაძლებელია მისი მოყვანა პატარა ფართობზეც კი. მაგალითად 1000 კვ. მეტრზე და ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ადამიანს გააჩნდეს პარალელური სამსახურიც.

საქართველო, განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონი კარგ ბუნებრივ პირობებს წარმოადგენს ლოკოკინების გამოსაზრდელად. თუ მოხდება მისი პოპულარიზაცია, ეს შესაძლებელია გახდეს სოფლებში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი შესანიშნავი საშუალება. ჩვენ მზად ვართ გავუწიოთ ყველანაირი დახმარება ადგილობრივ ფერმერებს ამ აგრობიზნესის დანერგვაში.

ბატონო მერაბ! გილოცავთ კარს მომდგარ შობა-ახალ წელს. წარმატებების, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს 2020 წელი თქვენთვის, თქვენი ოჯახისთვის, სრულიად საქართველოსთვის.

გისურვებთ წარმატებებს.

***ნანი კილასონია.***

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

## ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით

გილოცავთ დამდეგი ახალი წლის შემობრძანებას ჩემო ხობელებო! მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2020 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის! მინდა, თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ ეს დღესასწაული!

გასული, 2019 წელი მნიშვნელოვანი იყო, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის! ეს იყო ის წელი, რომელმაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა ევროპასთან! იმ მიზანთან, საითკენაც საუკუნეების მანძილზე ისწრაფოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები და ვისწრაფვით ჩვენც!

მე კარგად მესმის, რომ ბევრი ადამიანი ახალ წელს გაჭირვებაში ხვდება! ვისურვებდი, რომ 2020 წელი მათთვის



წინსვლისა და გაძლიერების წელი ყოფილიყოს! მე მჯერა, რომ ჩვენი ერთობლივი მონდომებით ეს ასეც იქნება!

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, ახალმა პროგრამებმა, რომლებიც სოციალური მომსახურების, ჯანდაცვისა პრიორიტეტების მიმართულებებით განვახორციელეთ, საშუალება მოგვცა, ჩვენი მოქალაქეების პირობები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაგვეუმჯობესებინა.

მუნიციპალიტეტში ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის დახმარების მუნიციპალური პროგრამა, 2019 წელს 510040 ლარით დამტკიცდა, აქედან სოციალური პაკეტი 473800 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი 36240 ლარით. პროგრამებში ცვლილებების შეტანა გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილებების შესაბამისად .

სამსახური ყოველი წლის ბოლოს სწავლობს მოსახლეობიდან შემოსულ განცხადებებს, მათ საჭიროებებს და ეძებს პრობლემების გადაჭრის გზებს, პროგრამული ბიუჯეტის მეშვეობით.

2019წელს სარემონტო კეთილმოწყობითი სამუშაოები ჩაუტარდა 5 სოფლის საექიმო ამბულატორიას, რაზეც გაიხარჯა 116000 ლარი, 2018 წელს შეკეთდა 2 ამბულატორია 2019 წელს კი 3. შემდგომ წლებში გათვალისწინებულია, როგორც ახლის მშენებლობა 3 სოფელში ასევე 4 ამბულატორიის სარემონტო სამუშაოები.

2019 წელს დაიწყო საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობა, რაზეც სახელმწიფოს მიერ გამოიყო 26900 ლარი, მშენებლობა დამთავრდება 2019წლის ბოლოს.

ყოველი წლის დეკემბრის თვეში. სოფლის ტერიტორიულ ორგანოებში მერის წარმომადგენლებთან ერთად სამსახური ადგენს მრავალშვილიანი ოჯახების, ომის ვეტერანების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, 100 და 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების რაოდენობას და სახელობითი სიების დაზუსტებას, რომელთა ერთჯერადი დახმარება გაიცემა სოციალურ პაკეტიდან სადღესასწაულო და მნიშვნელოვან დღეებში. პროგრამულად გაიცემა აგრეთვე გარდაცვლილ ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები.

2018 წელს ამოქმედდა ახალი პროგრამა– შ.შ.მ. პირების გეგმიური მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევების თანადაფინანსება ერთჯერადად. ამ დახმარებით 2019 წელს ისარგებლა 6-მა პაციენტმა და გაიცა 1437ლარის საგარანტიო წერილი.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლზე გამოყოფილი იყო პროგრამით ერთჯერადი დახმარების თანხა, რომლითაც ერთმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჩაერიცხა 300 ლარი.

2019 წელს ამოქმედდა 0-18 წლამდე შ.შ.მ.ბავშვთა დღის ცენტრის თანადაფინანსება, კომუნალური ხარჯების დასაფარად, რომელიც დაფუძნდა აგვისტოს თვეში, გრანტი მოიპოვა არასამთავრობო ორგანიზაციამ „თოლისქური“, სრული დატვირთვით დაიწყო ფუნქციონირება ნოემბრის თვიდან, სადაც 20-მდე შშმ. ბავშვია. ცენტრი კეთილმოწყობილია და ბავშვებს უხდებათ სასიამოვნო გარემოში, როგორც განათლების მიღება, ასევე გართობა, რაზედაც, ბავშვები და მათი მშობლები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ. ცენტრს ემსახურება სპეციფიკის გათვალისწინებით გადამზადებული პედაგოგები, ცენტრის ძირითადი დამფინანსებელია არასამთავრობო ორგანიზაცია ASB ასევე თანადაფინანსებას უწევს მერია სოციალური პაკეტის ფარგლებში.

სახელმწიფო პროგრამის გარეშე დარჩენილ და მოსახლეობის რაოდენობით პატარა სოფლებს, ეწევათ დამატებითი საექიმო და ექიმამდელი დახმარება, რომელსაც მოითხოვდა სოფლის მოსახლეობა და გამოიყო წლის განმავლობაში აღნიშნული დახმარების გასაწევად 36240 ლარი. პროგრამის მიმდინარეობა პერიოდულად მოწმდება სამსახურის მიერ. პროგრამას ანხორციელებს ტენდერში გამარჯვებული, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის დევნილთა პოლიკლინიკა.

2019 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 1925 მდე პაციენტს, რომლებზეც დამყარებულია მეთვალყურეობა და ჩაუტარდათ საექიმო და ექიმამდელი დახმარებები ადგილზე. მათ შორის 0-18 წლამდე 228 პაციენტს. ყოველთვიურად დამატებითი პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისთვის, პროგრამულად გათვალისწინებულია 270 ლარის მედიკამენტებით პაციენტთა გადაუდებელი დახმარება, ექიმის დანიშნულებით.

ქვეყანაში უკვე 3 წელია მიმდინარეობს ც ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელიც არის უპრეცედენტო, პროგრამაში ჩასართავად პაციენტების რეგისტრაცია 2015 წელს დაიწყო.

ყველა დაავადებულის მკურნალობა დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ და პაციენტთა 95% განკურნებულია. 2019 წელს ასევე ყველა გამოკვლევა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმების ჩართვით გრძელდება C ჰეპატიტის გამოვლენის პროგრამა, რაც გულისხმობს ინფიცირებულთა მკურნალობაში მათ დროულ ჩართვას სრული ელიმინაციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ ამ პროგრამის შესრულებისთვის გამოიყო 15000 ლარი. ასევე ტარდება შემოწმებები სალონებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად .

2020 წელს სოციალურ პაკეტში შევიდა ცვლილება და 2 აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვი დაფინანსდება თითოეული 600 ლარით და დაფინანსებას მიიღებენ წელიწადში ორჯერ 300-300 ლარს.

ასევე გაიზარდა საოპერაციო დახმარებების თანადაფინანსების თანხა, კომისიაზე შემოვიდა 300-მდე განცხადება ასეთ დახმარებაზე და გაიცა საგარანტიო წერილი, ვეცდებით მომდევნო წლებში პროგრამებში იყოს გათვალისწინებული უფრო მეტი მზრუნველობითი პროგრამები, ვიდრე ერთჯერადი დახმარებებია, რადგან საჭიროა გვქონდეს შედეგზე ორიენტირებული პროგრამები, რომელიც თითოეული ბენეფიციარის კეთილდღეობას მოემსახურება.

2020 წლიდან მოვემზადებით და მოსახლეობასაც მოვამზადებთ იმისთვის, რომ როგორც ეს ცივილურ ქვეყნებშია, 2021 წლიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გავითვალისწინოთ თანხა, რომელიც მიიმართება სამოქალაქო ბიუჯეტისკენ, რაც გაუჩენს მოსახლეობას უფრო მეტი თანასწორობის და დემოკრატიულობის განცდას.

განსაკუთრებულად მინდა, მივულოცო ახალი წელი იმ ადამიანებს, ვინც დღეს საქართველოში, მუნიციპალიტეტში, არ იმყოფებიან. მე მჯერა, ისინი მალე დაუბრუნდებიან მშობლიურ მიწა-წყალს!

ასევე, გულითადად ვულოცავ ჩვენს დევნილ მოსახლეობას! თითოეული მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელს, ვულოცავ ასევე ჩემს კოლეგებს, მედიცინის მუშაკებს, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან მედგრად იდგნენ ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ურთიერთსიყვარულით, ჩვენ შევძლებთ, რომ უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ! მაშინ, როცა დემოკრატიული, გამჭვირვალე, ევროპული სახელმწიფო, ხელისუფლებისა და ხალხის ერთობლივი ნებაა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ახალ 2020 წელს! გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ხვავს, ბარაქას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

***შორენა კანკია,***

***ხობის მუნიციპალიტეტის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დევნილთა, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი.***

## მომავალი წლიდან პენსიები მოიმატებს



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი–სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის რაიონული განყოფილება ემსახურება ხობის მუნიციპალიტეტის 22 ადმინისტრაციულ ერთეულს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პენსიის მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 6780 ერთეულს. ერთ პენსიონერზე ყოველთვიურად დაირიცხება თანხა–200 (ორასი) ლარის ოდენობთ. სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 1333, სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებია 114 ბენეფიციარი.

სოციალური დახმარების მიზანმიმართულებისა და ეფექტიანობის გაზრდის, თანამედროვე გამოცდილების დანერგვის მიზნით, ქვეყანაში შეიქმნა „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზა.“ მონაცემთა ბაზა გამოიყენება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, აგრთვე სოციალური დახმარების უზრუნველმყოფი სხვა ორგანიზაციების მიერ, სოციალური დახმარების დასაგეგმად საჭირო ინფორმაციის სწრაფი მოძიებისა და სოციალური დახმარების პროგრამების მონაწილეთა შერჩევისთვის.

მიზნობრივი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) არის ფულადი სახის გასაცემელი, რომლის მიზანია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ღატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირება ან\და მისი პრევენცია.

ამ კუთხით ხობის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) მიმღებია 934ოჯახი (3554 პირი).

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის მიხედვით ყოველი მე-3 და მომდევნო შვილის დაბადებისთვის (შეძენისთვის) ოჯახს ბავშვის 2 წლის ასაკის მიღწევამდე ენიშნება დახმარება 150 ლარის ოდენობით. აღნიშნული მიზნობრივი პროგარამის მოსარგებლე მუნიციპალიტეტში არის 126 ბავშვი.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიზანია საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობასმოკლებულ, სოციალურად დაუცველ, ძალადობის მსხვერპლ და მიუსაფარ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია ამ კუთხით განყოფილება მუშაობს ინტენსიურად და ნაყოფიერად.

**2020 წლის პირველი იანვრიდან ყველა პენსიონერს მოემატება პენსია 20 ლარის ოდენობით, ხოლო 2020 წლის პირველი ივლისიდან იმ პენსიონერებს, რომლებსაც იმ პერიოდისთვის შეუსრულდებათ 70 წელი, დაემატებათ 30 ლარი.**

რამდენიმე დღეში ქვეყანაში შემოაბიჯებს 2020 წელი. ვუსურვებ ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა პიროვნებას, ახალი წელი ყოფილიყოს ყველასთვის ბედნიერების, სიხარულის, სიყვარულის, სიუხვის, ბარაქის და ყოველივე კარგის მომტანი.

მრავალ ახალ წელს, მრავალჟამიერ!

***როლანდი ჯიქია,***

***სოციალური მომსახურების სააგენტოს ხობის განყოფილების უფროსი.***

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

**ბატონო ცოტნე, გაეცანით გაზეთის მკითხველებს.**

–დავიბადე 1990 წელს ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონში, ტრადიციულ ოჯახში. დედა–ნინო ჯარჯალავა, ამჟამად დიასახლისი, მუშაობდა ჩვენი სოფლის კულტურის ცენტრში, მამა–ვარაზ (ზვიად) დადიანი მეურნეა და ოჯახის საქმეებს უძღვება. მეუღლე–თამარ ცაავა, მუშაობს სოფლის ბიბლიოთეკაში.

# გისურვებთ იმედიან და ამაღლებულ განწყობას

(ცოტნე დადიანი–მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში)

მყავს ერთი ქალიშვილი, 2 წლის ნინო.

2009 წელს დავამთავრე ჩვენი სოფლის საშუალო სკოლა. სწავლა გავაგრძელე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2013 წელს.

წლების განმავლობაში ვმუშაობდი სხვადასხვა კერძო კომპანიაში სხვადასხვა პოზიციაზე (სპეციალისტად, იურისტად).

**ცოტა რამ სოფლის ისტორიაზე.**

–ქვალონი ხობის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო სოფელია თავისი ისტორიით, მოსახლეობის რიცხოვნობით, მდებარეობით, უბნების სიმრავლით... სოფლის შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს.

არქეოლოგიური კვლევების მიხედვით, ქვალონი უძველეს დასახლებას წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს სოფელში აღმოჩენილი უძველესი ძველკოლხური ნამოსახლარები, პალეოლითისა და ბრინჯაოს ხანის იარაღები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები... სახელწოდება „ქვალონი" ნიშნავს „ქვიან ადგილს". ყველაზე ადრინდელ დასახლებას წარმოადგენს ზემო ქვალონი. ქვემო და შუა ქვალონი გვიან გაჩენილი სახელებია.

გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ქვემო ქვალონის მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. აქ საცხოვრებლად ჩამოვიდნენ სამეგრელოს მაღალმთიანი რაიონებიდან. ამ პერიოდში ჩამოვიდა სენაკის რაიონის სოფელ ხორშიდან ჩემი დიდი ბაბუაც–ილია (ილუშა) დადიანი. ჩვენი სოფელი მიმზიდველი და ხელსაყრელი იყო მესაქონლეობისა და მიწათმოქმედებისთვის. გარდა ამისა, სოფელში არსებული სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალი ხელს უწყობდა მიმოსვლასა და სავაჭრო საქმიანობას.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან სოფელში ჭაობი ნელ-ნელა დააშრეს, მოწესრიგდა სოფლის ინფრასტრუქტურა. ამასთან, გაიჩეხა ხე-ტყეც, ტყის ბინადრებმაც ნელ-ნელა დატოვეს სოფელი.

**ქვალონი საკმაოდ დიდი სოფელია, თვლით რომ მისი ხელმძღვანელობა დიდი ტვირთია?**

–გეთანხმებით, ქვალონი დიდი სოფელია. და უბნებისაგან შედგება. საკუთრივ ქვემო ქვალონის თემის საკრებულოში შედის: გიმოზგონჯილი, ბულიში, ამჟამად ხობის მუნიციპალიტეტში ცალკე გამოიყოფა: ქვემო ქვალონისა და ზემო ქვალონის თემის საკრებულოები. გვიმარონი, დურღენა, ჭითაუშქური.

ქვემო ქვალონში ამჟამად 913 კომლი ცხოვრობს, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 3120 სულს.

ბუნებრივია, ამხელა სოფლის ხელმძღვანელობა დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. დღეს ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების ფონზე, ადვილი არ არის სოფლის წინამძღოლობა. ვთვლი, რომ დაკავებული თანამდებობა უფრო გამოწვევაა, რომელიც შესაბამის ძალისხმევას მოითხოვს.

საქმე, რომელსაც ვემსახურები, მიყვარს და სიამოვნებით ვაკეთებ. მიმაჩნია, რომ ადამიანი, რომელ პოზიციაზეც არ უნდა იყო, პირნათლად უნდა ემსახურო შენს ქვეყანას, სოფელს, რითაც შეგიძლია.



ამ შემთხვევაში მე გამიმართლა, ვინაიდან ჩემი უშუალო მოვალეობაა ვიზრუნო ჩემს სოფელზე, სოფლის მაცხოვრებლებზე, რაც ერთი მხრივ, დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ მეორე მხრივ–სასიამოვნო და საამაყო. რადგან ყველა და ყველა ფერი მშობლიურია, შენეულია. შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს გავაკეთებ ჩემი სოფლის წინსვლისა და განვითარებისთვის.

**ყველაზე კარგი პერიოდი თქვენი ცხოვრებიდან.**

–ვფიქრობ, ცხოვრების ყველა პერიოდი საინტერესოა.



სკოლის მშენებლობა დაიწყო.

ჩემთვის ძალიან კარგი დრო იყო ბავშვობა, სტუდენტობა–ყველაზე უდარდელი და ხალისიანი წლები, როცა ნაკლებად ფიქრობ პრობლემებზე, სიძნელეებზე, რადგანაც გვერდით გყავს მზრუნველი მშობლები, საყვარელი ადამიანები, ვინც ამას სიამოვნებით გარიდებენ.

ვთვლი, რომ ცხოვრება ზოგადად საინტერესოა თავისი აღმართ-დაღმართებით, სირთულეებით. ყველა სიძნელე ერთგვარი ცხოვრებისეული გამოწვევაა, რომელსაც გამკლავება სჭირდება. ადამიანები მეტ-ნაკლებად ახერხებენ ამას. წარმატება სწორედ გამოწვევებთან გამკლავებით მიიღწევა.

**თქვენი ხელმძღვანელობის პერიოდში, უფრო სწორად, მიმდინარე წელს რა გაკეთდა სოფელში და სამომავლოდ რისი გაკეთებაა გათვალისწინებული?**

–რამდენიმე თვეა, რაც სოფლის ხელმძღვანელად დავინიშნე, ამ მოკლე პერიოდში სოფელში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა; კერძოდ, აშენდა სამლოცველო, გზები მოწესრიგდა, სანიაღვრე არხები გაიწმინდა.

ყველაზე სასიხარულო და საამაყო ისაა, რომ მოსახლეობის წლობით ნაოცნებარი ახდა.

მიმდინარე წლის 10 დეკემბერს დაიწყო ახალი სკოლის მშენებლობა, რომელსაც ერთ-ერთი დიდი კომპანია „პრაიმ ბეტონი" ხელმძღვანელობს. 15 თვეში სოფელს ექნება თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილი შენობა, რასაც სოფლისთვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელში ბევრი რამ გაკეთდა, გასაკეთებელი უფრო ბევრია, წინ დიდი და მნიშვნელოვანი პროექტები გველოდება.

***ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, როდის დაიწყება სოფლის ინტერნეტიზაცია და გაზიფიცირება?***

–უახლოეს მომავალში სოფელს ექნება გაზი. როგორც ვიცი 2021 წლისთვის მთლიანად ხობის რაიონი იქნება გაზიფიცირებული.

**თქვენი აზრით რა არის ბედნიერება? ყველაზე ბედნიერი დღე თქვენს ცხოვრებაში.**

–ბედნიერების ცალსახა განმარტება არ არსებობს. ბედნიერება ინდივიდუალური და მრავალპლანიანია. ზოგი ადამიანისთვის ბედნიერება ოჯახის შექმნაა, ზოგისთვის–მატერიალური უზრუნველყოფა (ფუფუნებაში ცხოვრება), ზოგისთვის–თანამდებობა, ზოგისთვის კიდევ რა... ზოგადად, ბედნიერებაა ის, რომ ცხოვრობ ღვთივკურთხეულ ქვეყანაში და ხარ თავისუფალი ადამიანი; უთუოდ ბედნიერებაა ის, რომ შეგიძლია აკეთო ის საქმე, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს; ბედნიერებაა ის, როცა შენი სიტყვით თუ საქმით შეგიძლია სხვა ადამიანებს დაეხმარო, გაახარო და გაულამაზო ყოველდღიურობა.

ცხოვრებაში ბევრი ბედნიერი დღე მქონია, მათ შორის უბედნიერესი და გამორჩეული–როცა ნინიკოს მამა გავხდი.

**რისი თქმა გსურთ ამ ახალი წლისთვის, რა არის თქვენი საახალწლო ნატვრა?**

–ახალ 2020 წელს საქართველოს ვუსურვებ გამთლიანებას, გაძლიერებას, მშვიდობას, სირთულეების დაძლევას, ჩვენს მოსახლეობას ჯანმრთელობას, ბარაქას, უკეთეს ცხოვრებას, იმედიან და ამაღლებულ განწყობას...

***ესაუბრა მერი ლაგვილავა***

№13-14 (7115) 25 დეკემბერი, ოთხშაბათი, 2019 წელი.

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!



## ბიბლიოთეკები მდიდარია მრავალფეროვანი ლიტერატურით

„კაცთა მონიჭებული პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს“, გვმოძღვრავდა ჩვენი ერის მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებელი. ჩვენში წიგნიერება უპირველესად განათლებულობასთან მიმართებაში წარმოდგინდება. წიგნიერება გულისხმობს ცოდნას, შესაძლებლობასა და უნარ-ჩვევებს ერთობლივად,–ფაქტიურად იმას, რაც განათლებას მოეთხოვება. წიგნიერი ადამიანი და განათლებული სინონიმად წარმოისახება. ხოლო წიგნიერი ადამიანის აღზრდაში, სხვა საგანამანათლებლო დაწესებულებების გვერდით, ერთ-ერთი ძირითადი ბიბლიოთეკებია, „ისინი ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედია, კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის დონის საზომია, ის ინახავს საუკეთესო ტრადიციებს, ლიტერატურას, მშობლიურ ენას, ხელს უწყობს პროგრესის განვითარებას.

ხობის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ცამეტი ბიბლიოთეკა. წლის მიწურულს ვაჯამებთ რა შედეგებს, „ხობის მოამბის“ მკითხველებს ერთგვარ „ანგარიშს“ ვაბარებთ და გეტყვით, რომ ყოველწლიურად ბიბლიოთეკა ივსება ახალი ლიტერატურით. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შემოდის ათი დასახელების ჟურნალ-გაზეთი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შინაარსით უნივერსალურია, მდიდარია მრავალფეროვანი ლიტერატურით, წიგნებთან ერთად მკითხველის სამსახურშია ორი კომპიუტერი.

მობილური საინფორმაციო აპარატი საშუალებას გვაძლევს, ბიბლიოთეკის ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის მომხმარებელს გავუწიოთ სათანადო მომსახურება. სპეციალური საბიბლიოთეკო პროგრამის „ღია ბიბლიოთეკის“ საშუალებით ვმუშაობთ ელექტრონული კატალოგის შედგენაზე, რათა მკითხველმა სახლიდან გაუსვლელად მოიძიოს სასურველი ლიტერატურა.

მკითხველთა უკეთ მომსახურეობის მიზნით სკოლის ასაკის მკითხველებისთვის გვაქვს პროექტები: „წიგნი–ცხოვრების თანაზიარი“, „ვკითხულობთ–პოეტებთან ერთად“, „ზღაპრის დილა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში“.

პერიოდულად ბიბლიოთეკის ვებგვერდზე მკითხველებს ვთავაზობთ ინფორმაციას ახალმიღებული ლიტერატურის შესახებ. ახალი ტექნოლოგიებისა და სერვისების დანერგვასთან ერთად ვთავაზობთ აპრობირებულ სერვისებს: წიგნის პრეზენტაციებს, წიგნის განხილვებს, პოეზიის საღამოებს, ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციებს, მკითხველთა კონფერენციებს, შემეცნებით-გასართობ ვიქტორინებს, თემატურ გამოფენებს და ა.შ.




ბიბლიოთეკა გვევლინება საინფორმაციო ცენტრად, ბეჭდვურ პროდუქციასთან ერთად, მკითხველებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით.

კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია: ჭალადიდის, შუა ხორგის, საჯიჯაოს, პირველი მაისის, თორსისა და ხამისკურის სათემო ბიბლიოთეკები.

სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წლის ოქტომბრის თვიდან აღდგენილიქნა ყოველთვიური ერთდღიანი თათბირ-სემინარი, სადაც სასოფლო ბიბლიოთეკების სპეციალისტები გაიუმჯობესებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, გაეცნობიან თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიებს. ყოველივე ზემოთაღნიშნული ღონისძიებები ადასტურებს, რომ ბიბლიოთეკები იყო, არის და იქნება ერთ-ერთი მძლავრი ინფორმაციის ცენტრი.

ვსარგებლობ შემთხვევით და დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ ჩემს ქვეყანას, ქართველ ხალხს! გისურვებთ ქვეყნის გამთლიანებას, მშვიდობას, ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, ხვავსა და ბარაქას!

**ლუიზა ცანავა,**
**საბიბლიოთეკო ქსელის მენეჯერი**

## ფეხბედნიერი ყოფილიყოს!



შობა–ახალი წელი ისეთი დღესასწაულია, როცა ყოველთვის ხდება განვლილ დღეებზე თვალის გადავლება და შეფასება. ამიტომ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ საქართველომ რთული, მაგრამ ბევრი გამოწვევების წინაშე მდგარმა სახელმწიფომ, გზა ევროპისკენ წარმატებით გაიარა.

ქართველმა ხალხმა თბილისში, თავისუფლების მოედანზე, კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა ქვეყნის აღმშენებლობის დღევანდელ კურსს და საზეიმოდ აღნიშნა საქართველოს ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყნად არჩევა. ჩემს ქვეყანას ვულოცავ ამ დიდ წარმატებას.

დიახ, ქართველმა ხალხმა გააკეთა ღირსეული არჩევანი, საქართველო კვლავ დიდი გამოწვევების წინაშე დგას.

ჩემო დიდებულო და საამაყო ერო, თანაქალაქელებო, ძვირფასო ხობელებო, ხორგელებო!

გილოცავთ დამდეგ 2020 წლის შობა-ახალ წელს, მიიღეთ ჩემი გულწრფელი სურვილები, იყავით ჯანმრთელები, გახარებული და ბედნიერი თქვენს ოჯახებთან ერთად.

ეს წელი ყოფილიყოს ერთიანობის, სიძლიერის და წარმატების მომტანი. მიყვარხართ, გეფერებით, უფალი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს შემწე.

***ნაირა ბერაია***

**ბვწერენ**

## მადლობა ბედნიერი წუთებისთვის...



ემოციებით დატვირთული დღე... საოცრად ლამაზი ბუნება... ყვითლად შემოსილი არემარე... შხაპუნა წვიმის წვეთები... აკაკი წერეთლის საუფლო... განუმეორებელი და დამატყვევებელი გარემო...

2019 წლის 30 ნოემბერს, თედო სახოკიას სახელობის ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველებმა, ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა, მასწავლებლებმა სტუმართან ბატონ ბეჟან ნადარაიასთან ერთად იმოგზაურეს იმერეთში და მოინახულეს აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი.

სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ მოსწავლეებმა საგამოფენო დარბაზში მოაწყვეს მცირე ღონისძიება და წაიკითხეს მგოსნის დაუვიწყარი სტრიქონები.

მადლობა ხობის მუნიციპალიტეტის მერიას, კულტურის დარგის მესვეურებს, რომლებმაც დააფინანსეს თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის „მკითხველთა კლუბის“ აქტიური მონაწილეები და გვაჩუქეს ბედნიერი წუთები.

**ია გოროზია, პედაგოგი.**

## სამადლობელი

მადლიერების შეგრძნება დაგვანახებს რომ მარტო არა ვართ, ჩვენს გვერდით არის ადამიანი, ვინც ჩვენზე ზრუნავს. სურს სითბო და სიყვარული გამოხატოს.

ამჯერად მინდა გულიდან წამოსული მადლიერება გადმოგცეთ,

ზოგჯერ არის ისეთი სიტუაცია, როცა გინდა ვიღაცა ჩაერიოს შენს პრობლემაში, რადგან თვითონ ვერ აგვარებ, გჭირდება ადამიანების დახმარება, თანადგომა, თანაგრძნობა, სწორედ ასე მოხდა ჩემს შემთხვევაში.

ათეული წლებია არ გვქონდა სასმელი წყალი, ჭის წყალიც მოსახმარად უვარგისი გახდა. ძალიან გაგვიჭირდა წყლის შორის მანძილიდან მოზიდვა. ჩვენს პრობლემას მუნიციპალიტეტის მერი ბატონი გოჩა ქაჯაია გაეცნო. მან გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი მდგომარეობა და მისი უშუალო ჩართულობით, გამოინახა კანონიერი გზა, რის შედეგადაც ეს პრობლემა მოგვიგვარეს.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო ბატონ გოჩას და მის ლამაზ ოჯახთან ერთად დიდი ხნის ჯანმრთელი სიცოცხლე ვუსურვო, ეს ახალი წელი ყოფილიყოს მისთვის სიკეთის, ბედნიერების, ხვავისა და ბარაქის, წარმატებების მომტანი.

მრავალი ახალი წელი გაგითენდეთ ბატონო გოჩა, მადლიერი მოსახლეობის სიუხვეს გისურვებთ!

***ლუარა ძველაია,***
***ნოჯიხევი.***

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

დაგვიანებული მილოცვა

## მას საკუთარი მადლი და შუქი აქვს

ლაშა გვასალია შვილია თავისი ქვეყნის, ქართველი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. მის შთაგონებას ასაზრდოებს ერთი მხრივ სამშობლო, მეორე მხრივ ეროვნული სულისკვეთება, მისი ბუნება, ხასიათი, მტკიცე და უკომპრომისოა თავის რწმენა-შეხედულებებში.

ბატონი ლაშა ის პოეტი და მწერალია, რომელიც წლების შემდეგ უფრო მეტად დასჭირდება ქართველ ხალხს, მისი პოეზია, თუნდაც პუბლიცისტიკა, წინ გაუძღვება ჩვენს ეროვნულ კულტურას, ეროვნულ შეგნებას. მისი ლექსები, როგორც ოქროში ბაჯაღლო, ისე ბრწყინავს, უფრო სწორად, უმალვე განსხვავებულია და გაფერადება არ სჭირდება.

მას ბავშვობიდან ჰქონდა სხვა ხედვაც და, მე ვიცყოდი, მიზანიც, ის თავისი ხალხის, ნაღდი ქართული ფესვებიდან მოდიოდა, თვალსაწიერიც ფართო იყო, განსხვავებული რაკურსით. ამიტომაც ეროვნულ-მობრაობაში, რომ იცყვიან, ბალღობა იმდენად ღრმად ჩადგა ფეხი და ჩაითვლო მის უდიდესებულებაში, რომ დღემდე ვერ თუ არ გამოსულა ნაპირზე, რადგან სამშობლოს ცვივილი თუ სიხარული მისი გულის მთავარ არტერიაზე გადის, ვიდრე არტერია თავის დანიშნულებას შეასრულებს, არადა არ აპირებს უკანდახევას.

შევთანხმდეთ, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი ბედნიერება არსებობს, ვისთვის რა და ვისთვის რა, მე ბედნიერი ვარ, რადგან ცხოვრების არც თუ სასიამოვნო შტრიხებმა ვერა და ვერ გამაბოროტა, სიყვარულის ქინით სიცოცხლე გამიხანგრძლივა. მთავარი-სიყვარული კიდევ უფრო მომიმძლავრდა.



ლაშას პოეზიამ და პუბლიცისტიკამ გულისგულში გამიარა, იქვე მინავლდა და ფიქრადაც არ მოსდის იქედან გამოსვლის მცდელობაც კი.

მისი ლიტერატურული შემოქმედება-პროზა, პოეზია, ესსე, წერილები სუფთა, გამჭვირვალე ლაღი, სუნთქვასავითაა, მონოტონური, მითაქამიდან მოდის და უსასრულო გზას ადგას.

რა თქმა უნდა, გზაც ხომ მრავალფეროვანია, აღმართ-დაღმართი, მიხვეულ-მოხვეული, წინაღობებით... სწორედ ესაა მისი სიცოცხლის მარადიულობა... მთავარია გზა უსასრულოა, თუმცა ხშირად მიღებული სიამოვნების გამო გიჩნდება უკან მოხედვის სურვილი. მაგრამ დარწმუნებული ხარ, წინ უკეთესი გელოდება და ამიტომაც მზერა მომავლისკენ გიხმობს...

სწორედ წინმავალ გზას დაგილოცავთ ბატონო ლაშა და გილოცავთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით დაჯილდოებას. შენც კარგად იცი „ვისი გორის ხარ“ და შეხსენება ჩვენგან უხერხულია მისი დიდებულებისა, პასუხისმგებლობაც ჩამოწოლილი ზვავივითაა, გასაფრთხილებელი და სათაყვანებელი... და არა ბოლო... წინ დიდი სიმაღლეა გადასალახავი. გვჯერა, უფრო წარმატებული...

*მერი ლაგვილავა*

P.S. ეს-ესაა სოციალურ ქსელში წავიკითხეთ ინფორმაცია, რომ ბატონი როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით გამოიცა ლაშა გვასალიას ლექსების კრებული „ფიქრების ქარი“, რაც საუკეთესო საახალწლო საჩუქარია არამარტო ავტორის, არამედ მკითხველისთვისაც. ელგუჯა მარღიას მილოცვა თითქოს ფეხდაფეხ მივადევნეთ დასაბეჭდად გამზადებულ გაზეთს.

კიდევ ერთხელ გლოცავთ და გილოცავთ, ლაშა!

## მოკლე მისალოცი!




ერთი საათის წინ როსტომ ჩხეიძემ (წიგნის რედაქტორმა და გამომცემელმა) მაჩუქა ჩვენი საერთო მეგობრის, ლაშა გვასალიას ახალი კრებული...გამიხარდა, რასაკვირველია; არ ვიცოდი, რომ ჩემი წერილიც ერთვის ბოლოში( იოსებ ჭუმბურიძის წერილთან ერთად... წინასიტყვაობის ავტორი გახლავთ ნატა ვარადა...) ...ბატონმა როსტომმა რამდენჯერმე გამიმეორა:–გეკუთვნის კიდევაცო...ეს თქვენი გადაწყვეტილება იქნებოდა-მეთქი...რაკი ჩაელიმა, დასტურის ნიშნად მივიჩნიე...მოკლედ, კიდევ ერთხელ გულდასმით წავიკითხე ჩემი წერილი-,,მწერალი, რომელიც ენაში ცხოვრობს“–და თუ ამპარტავნობად არ ჩამითვლით, მესიამოვნა... ალბათ, ორ წელზე მეტი გავიდა, რაც დავწერე და ახლაც იგივეს გავიმეორებდი...ლაშა გვასალია თვალსაჩინო მწერალი გახლავთ და წარმოდგენილი მორიგი პოეტური კრებულიც ამისი დასტურია... მიხარია, რომ სასიგნალო ეგზემპლიარიდან ერთ-ერთი პირველთაგანი მე შემხვდა... გილოცავ, ჩემო ლაშა! საახალწლო და საშობაო საჩუქარი უკეთესი რა უნდა იყოს, ვიდრე შენი დიდებული წიგნია!

**ელგუჯა მარღია.**

ლაშა გვასალია

### დეკემბრის ღამით

ჩამოდგა ცივი ზედაშე ზამთრის,
ნეცავ მეცყოდეს უფალი რამეს,
გვანან ღრუბლები დესპანებს სევდის,
უერთდებიან ნისლები ღამეს...
ამ დეკემბერმაც იცვალა ფერი,
შემოახია ქარმა მეგთარი,
და უთეთრესი კრთომების ჟერით
გადაიფითრა დილა ფერმკრთალი...
ხეებზე ნაძვის ვარსკვლავი ელავს,
ცის წიაღიდან მნათედ დაძრული,
სოფელი ფერად სიზმრებით ღელავს,
ფეთქავს სამყარო ესე ცაძრული!
ჩამოდგა ცივი ზედაშე ზამთრის,
თბება ბუხარში ღამე და დილა,
კრთიალებს ყინვა თვალებით ათრის,
და აწნავს ქარი ზამთრისპირს სილას!..

### დუმილო ზამთრის...

ზამთრის სიზმარი ბველ ბილიკებს გადმოეფინა,
მოჰქრის უკუნი სამყაროდან ჩემი იაბო,
მოთენებანი შევისწავლე, სულო, ზეპირად,
ერთხელ ჩურჩულით, ლექსებად რომ ყურში გიამბობ...
მაწვალებს კვლავაც ოცნებების გაუცანლობა,
და სიყვარული მოგონილი, არარსებული,
მზეო, ამ სხივთა მოფენისთვის დიდი მადლობა,
მიცქერის მთვარეც დუმილივით განაზებული!..
მომენაცრები, აფოფრილი ლექსის ჭიდილით,
დამჩემებია უსასოო ფიქრი მცანჯველი,
გიფეთქავს გული შეშინებულ ბაღის ჩიცივით,
მეც გადმომედო ცრფობა ესეცანჯვის სასჯელით...
ბოლო ფოთლებსაც—წვიმამ, ქარმა გადაუარეს,
ცამ გამაგიჟა, მიდი ახლა და გამამცყუნე,
არ შევხვედრივარ მასზე დიდს და მასზე უარესს,
და გულსაც შენი სიყვარულით ამოვახცუნებ,
ამ საწყისიდან, ყოველივე გახდა სასჯელი,
აქედან ნისლი გაზაფხულებს ესაუბრება,
და სიცყვა მოკლე რომ არ გახდეს ერთდროს მცანჯველი,
შენთან ცხოვრების მოვიპოვო უნდა უფლება–
ჩემო ჰაევ და დუმილო ზამთრის!..

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

## „ალილო“, „ჰეი მენძელი“ და „მრავალჟამიერი“

ძველად, წარმართული რწმენის მიხედვით, მცენარეებს, ცხოველებს, ბუნების მოვლენებს მფარველ ღვთაებებად წარმოიდგენდნენ, ეთაყვანებოდნენ, სწამდათ მათი ძლიერების და ეშინოდათ კიდეც მათი რისხვის. ასეთი ღვთაებები იყო კოპალა, კვირია, ოჩოპინტრე, ბერმუხა... ხოლო საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ ადამიანმა გულისყური მიაპყრო ქრისტეს.



ქრისტიანობის დამკვიდრების შემდგომ (IV საუკუნე) ქართულ ეკლესიაში თანდათან მკვიდრდება ქართული ღვთისმსახურება და (VI საუკუნეში) წირვა-ლოცვა-გალობა ქართულ ენაზე მიმდინარეობს, რამაც დიდი გავლენა იქონია ყოფა-ცხოვრებაზე, ახალი წეს-ჩვეულების ჩამოყალიბებაზე. თანდათანობით გაჩნდა ბევრი ახალი, მათ შორის შობისა და ახალი წლის აღნიშვნის სადღესასწაულო რიტუალები. ყოველივე ამან საერო-საეკლესიო მუსიკაშიც შემოიტანა თავისებური ტემბრი და შინაგანმა განწყობამ შეჰქმნა ბევრი სარიტუალო როკვაც.

...მოდით, ცოტაც ვიმოგზაუროთ შორეთში: სამეგრელო ხომ ლამაზი და ისტორიული კუთხეა, რომლის შესახებ აღფრთოვანებით წერდნენ ჯერ კიდევ ბერძენი და რომაელი ავტორები ჰიპოკრატე, ქსენოფონტე, აპოლონ როდოსელი, ვიტრივიერი და სხვები. მეცნიერული კვლევები ცხადყოფს, რომ ქართული ცივილიზაციის სათავე სწორედ, რომ კოლხეთი იყო. ეგრისი საქართველოს დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება და ძველბერძნულ მითოლოგიაში ის მოხსენიებულია აიეტისა და მედეას სამშობლოდ...

მოგზაურობიდან დავბრუნდეთ რეალითში, რომელსაც ჰქვია XXI საუკუნე 2019 წელი, ჩემო მეამბოხე წელო, მძიმევ და უხეშო, ძალაუფლების მქონევ, მაგრამ შესაძლებლობის ვერგამომყენებელო, საისტორიო სიტუაციების შემოქმედო! მიიპარები კარგო, ვხედავ შენს მიმალვას, ვხედავ თუ როგორ შეუდექი ჟამობას, სხვა ფაზაც არ დაგრჩა, ისტორიის კუთვნილება ხდები. ჰოდა შეგაფასებ ჭკვიანთა ფრაზით, „რაღაა იგი სინათლე. რასაცა ახლავს ბნელია“ მოკლედ, მშვიდობით...

გთხოვთ დავიწყოთ სავსე სიცოცხლე ახალო წელო...

და გისურვებ წარმატებებს, სრულიად საქართველოს სასარგებლოდ.

ვფიქრობ, შობა ჩვენისა იესო ქრისტესი და „ახლით თუ ძველით“ ახალი წელი გაგვახარებს, თოვლის ბაბუ ხვავრიანად დაგვაბერტყავს ჩურჩხელა-ნაზუქებს, გვჯერა, მოგვისურვებს ბარაქას, ჯანის სიმრთელეს, სამშობლოს გამთლიანებას, ერის გამრავლებას. და უპირველესად ღვთისმშობელი და იესო ტკბილი დაგვლოცავს, გაგვანათებს სამერმისოდ.

კეთილი სურვილებისა და იმედების შობა-ახალო წელო, შენ იცი, მაგრამ მაინც გავიხსენოთ სამეგრელოში ძალზე ხალისიანი, ქრისტეშობისა და საახალწლო სამზადისი იცოდნენ და იციან, მეგრელის ოჯახი მთელი გულითა და სულით ემზადებოდა და დღემდე ემზადება მნიშვნელოვანი დღესასწაულისთვის.

მეგრელი გლეხი შემოდგომისას საშობაოდ განკუთვნილ ლაგვანში ინახავს ადგილობრივი ჯიშის ყურძნისგან დაწურულ ღვინოს და პირველ რიგში შობასა თუ ახალი წლის ღამეს ეკლესიიდან დაბრუნებული თავს მოხსნის ღვინით პირთამდე სავსე ლაგვანს და ხერკეთი ამოიღებს დალოცვილ ნაჟურს, იტყვის ღვთისსადიდებელს, სამშობლოს, შვილების, ოჯახის, სადღეგრძელოებს და ლოცვით შეავედრებს უზენაესს.

მახსოვს უფროსების მონათხრობიდან. ყურძნის დედულეთში ნანახი, ყებურში დანთებული ცეცხლი გიზგიზა და ბრდღვიალა ალი თუ როგორ „თბილი“ ხვევნა-კოცნით სწვავდა ჭყონის ჯიკებს, იქვე ნორცხვაზე ოხშივარი ასდიოდა ბურვაკის სუკებს, წკირზე იბრაწებოდა მსუქანა დადულები, ჩვან-კარდილაში ღომი მისეული სიმღერით თუხთუხებდა, ტაბაკიდან ფართო-ფართო სელეგინიშ ყვალიშ ლეჭკერეფი, ვხედავდი თუ როგორ შესციცინებდა მუშ გურიშ მახაშალ ჩხე ღუმუს. ტაფაზე იბრაწებოდა მადის აღმძვრელი კუპატი.

წარმოიდგინეთ ეთნოგრაფიული სურნელი, რომელიც გასდევს ტაბაკს, როცა ზედ წკირზე შებრაწული გოჭი მადის აღმძვრელად გამოიყურება. ტაბაკი პირთამდე სავსე ცხელი პურით, ხაჭაპურით, ხვარანდიებით სურნელოვანი ღვინით და ფელამუშით, ჩურჩხელათი, ჩირით თუ ტილისკვერებით, ნამცხვრებით...

ჩვენ, ბავშვები საგანგებოდ გამოპრანჭულები ვხალისობდით, მორთული თეთრკულულებიანი თხილის ჩიჩილაკისა და კოხტად მორთული ნაძვის ხის გარშემო ბედნიერები ბებია-ბაბუა და მშობლებთან ერთად.

ასე იყო შობა და ახალი წელი კეთილი სურვილების კორიანტელით, შეძახილებით, მილოცვებით. მეზობლები ერთურთს მოიკითხავდნენ სავსე ნისორით ხელდამშევნებულნი, ხმამაღალი „სადავოი კირიალესათი“ თუ „ჰეი მენძელით“ სიყვარულის არშიებს შემოავლებდნენ ურთიერთდამოკიდებულებას.

ასე მოვდიოდით და მოვდივართ დღემდე.

ძვირფასო ხობელებო, ჩემო ოდაბადევ, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, გისურვებ ფანტასტიკურად მოწესრიგებულ სამშობლოს, ოჯახს, დაგბედებოდეთ მრავალშვილიანობა, გადავეხვიოთ ერთმანეთს ბედნიერად, სიყვარულით.

...და ვიაროთ, ვიაროთ... ამინ!

***ნანა ჯალაღონია.***




## ინტერვიუ

# დღეგრძელი მასწავლებელი



მიხეილ (მიშა) ბასილაია, ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლებას მიუძღვნა.

საკუთარი პროფესიის ნამდვილმა დიდოსტატმა, მათემატიკის უბადლო მცოდნემ, საგნის დიდი სიყვარული და ინტერესი ჩაუნერგა მოსწავლეებს. მან აღზარდა არაერთი სახელოვანი ადამიანი და ხუთათეულზე მეტი წელი ემსახურა საყვარელ პროფესიას–მასწავლებლობის რთულ გზაზე თავისი კარიერული წინსვლა ხობის №2 საშუალო სკოლიდან დაიწყო, სადაც შვიდი წელი ასწავლიდა მათემეტიკას. შემდეგ კი ჯერ საჯიჯაოს საშუალო სკოლაში, ხოლო ორი წლის შემდეგ კი–ძველი ხიბულის სკოლაში გააგრძელა მუშაობა. პენსიაზე გასვლამდე კი 44 წლის განმავლობაში შეუწყვეტლად ასწავლიდა მათემატიკას ახალი ხიბულის საშუალო სკოლაში, მეცნიერულ დონეზე. ბევრი წინააღმდეგობა და ტკივილი გადაუტანია წლების მანძილზე, მაგრამ ბავშვებთან მუშაობა ყველაფერს ავიწყებდა და მრავალი თაობის საყვარელ მასწავლებლად იქცა. ამ დიდ სიყვარულსა და მოკრძალებას მუდამ გრძნობს ადამიანებისგან.

მიშა მასწავლებელი, ჩვენთვის ავტორიტეტი, პროფესიონალი, მისაბაძი პიროვნებაა, ამიტომაც გადავწყვიტეთ გავსაუბრებოდით 93 წლის უხუცეს, უჭკვიანეს და ღვაწლმოსილ პედაგოგს.

შტრიხები მისი ცხოვრებიდან

მეუღლე, ნეტარხსენებული ეთერი ჯოჯუა ფიზიკის მასწავლებლად მუშაობდა ახალი ხიბულის საშუალო სკოლაში... ბატონი მიხეილი დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს ერთად გატარებულ წლებს.

ჰყავს ორი ვაჟი და ერთი შვილიშვილი, რომლებიც მასთან არ ცხოვრობენ. ამჟამად მარტოდ მყოფი, ბუნების სიყვარულით იხალისებს ცხოვრებას.

ჰყავს ოთხფეხა მეგობარი–ბურკა, რომელსაც ადამიანივით ესაუბრება და მეგობრობს.

უყვარს პოეზია–გალაკტიონი.

ადამიანებს ხშირად აკვირდება და თავის შეხედულებებს იქმნის მათზე.

–ამ სიბერეში დამჩემდა რატომღაც, ადამიანის ჩაცმულობას ვაკვირდები და ზუსტად შემიძლია მისი ხასიათის ამოცნობაო–გეტყვით.

ვიფიქრეთ, სკოლასმონატრებული მხცოვანი მასწავლებელი გაიხარებდა გაკვეთილის ჩატარებით და ჩვენც ეს შანსი მივეცით.

თვალები გაუბრწყინდა, საგაკვეთილო მასალა სწრაფად შეარჩია, ამოგვიხსნა რამოდენიმე მაგალითი და შეამოწმა ჩვენი მათემატიკის ცოდნის დონე. რჩევები მოგვცა, დაგვარიგა. დაგვარწმუნა, რომ საქმე, რომელიც ძალიან გიყვარს და აგრეთვე პროფესიონალურად ფლობ, ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, მასზე საუბარი და მსჯელობა ყოველთვის გახარებს და შეგიძლია.

ბევრი თაობის აღმზრდელი მასწავლებელი თაობათა ცვალებადობას ასე აფასებს|:

–ახლანდელ ბავშვებს მეტი შესაძლებლობა აქვთ განვითარებისთვის, ინფორმაციული წვდომაც დიდი აქვთ, რაც ჩვენს დროს ნაკლებად იყო. ჩვენ წიგნს სანთლით დავეძებდით და სანთლის შუქზე ვკითხულობდით, ბაბუ... ახლა, რატომღაც კომპიუტერი ვარჩიეთ წიგნებს. არა, ეს ცუდი არაა, მაგრამ ეტყობა სწორად ვეღარ იყენებენ მას, რადგან წიგნიერების დონე ბავშვებში უფრო ნაკლებია, ვიდრე ადრე. ასეთი წიგნები გქონდეს და აღარ კითხულობდე, განა ეს საქმეა?

თვითონ იქვე, ბევრი წიგნი ელაგა, რადგან ძალიან უყვარს კითხვა, ჩანაწერების გაკეთება, ახალი სიტყვების განმარტება. კიდევ ერთხელ დაგვმოძღვრა:

–ქვეყნის სადავეები ახალგაზრდების ხელშია. მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ საკუთარი შესაძლებლობები, მიიღოთ პროფესია, რომელიც ძალიან კარგად გეცოდინებათ და გეყვარებათ, უცოდინარ ადამიანზე დიდი მტერი ქვეყანას არ ყავს.

–მალე ახალი წელი შემოაბიჯებს...

–დაგლოცავთ ბავშვებო, ჩემო კარგებო. ეს ქვეყანა თქვენია, გაუფრთხილდით და დაიცავით ის, რაც თქვენმა მამა-პაპამ დღემდე მოგიტანათ და ახალ თაობას ჩაგაბარათ.

მრავალჟამიერ, იხარეთ და იდღეგრძელოს საქართველომ. ბედნიერი ახალი წელი გაგითენდეთ.

***ესაუბრნენ ხობINEWS-ის ახალგაზრდული ჯგუფის წევრები: გვანცა სიჭინავა, თამარ ბასილაია, დიანა და მეგი ჯიშკარიანები, მარიამ ქაძანაია.***

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

# სპორტი-2019

* * *

2019 წელი წარმატებული გამოდგა ხობელი სპორტსმენებისთვის. მათ არამარტო ხობი, სრულიად საქართველო ასახელეს.

განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა ეს წელი ჩვენი სახელოვანი






სპორტსმენის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **ნუგზარ წურწუმიასთვის**. 23 წლამდე ევროპის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, ყაზახეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიაში პირველი მოჭიდავე გახდა ვინც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.



გამარჯვებით გაგვახარა საჯიჯაოელმა გოგონამ **ანა ხუნჯუამ.** ვლადიკავკაზში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე კრივში 22 წლამდელთა შორის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ანა საქართველოს სპორტის ისტორიაში პირველი მოკრივე გოგონაა, რომელმაც სპორტის ამ სახეობაში წარმატებას მიაღწია.

სასიხარულოა ჭაბუკი მოკრივის **დემურ ქაჯაიას** წარმატება, თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის დემური ევროპის ჩემპიონი გახდა.

მნიშვნელოვანია ხობელი მკლავჭიდელების წარმატებები. 21 წლამდელთა შორის მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ წლევანდელი ევროპის ჩემპიონი **დათუნა ჯიშკარიანი** და **გულადი ბუკია.**

15 წლამდელთა შორის ასევე მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ **საბა ლატარია** და **საბა დანელია**. აღსანიშნავია, რომ საბა ლატარიამ ორივე მკლავით შეძლო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

**გიგა კოდუამ** 21 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა.

**გოგა დანელიამ** 18 წლამდელთა შორის მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

**ანრი ბუკიამ** 21 წლამდელებში წარმატებით იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე და ოქროს მედალი მოიპოვა.

ახალგაზრდებში წინა წლების მსოფლიო ჩემპიონმა **გოჩა სიჭინავამ** წელს დიდებში იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ის ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა.

ვულოცავთ მუნიციპალიტეტის გამორჩეულ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს წარმატებებს და ვუსურვებთ მომავალშიც გაეხარებინოთ ხობელები და სრულიად საქართველო.

**ლევან ლემონჯავა.**

## მოჭადრაკეები აჯამებენ...

ნაყოფიერი და წარმატებული გამოდგა ხობის სასპორტო სკოლის ნორჩ მოჭადრაკეთა 2019 წელი.



პირველი, რაც გვახარებს და გვეამაყება გახლავთ ის, რომ ჩვენი სკოლის აღზრდილმა, ჩვენმა საამაყო გოგონამ **დიანა ლომაიამ**, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ქალთა შორის ღირსეულად დაიცვა საქართველოს ნაკრები გუნდის ღირსება და 9 შესაძლებლობიდან 5,5 ქულით გუნდში საუკეთესო შედეგი აჩვენა.

გვახარებს 13 წლის **ნიკა მუკია,** მან საქართველოს ჩემპიონატზე 14 წლის ჭაბუკთა შორის მე–3–4 საპრიზო ადგილი მოიპოვა, ნორჩ მოჭადრაკეთა ლიდერმა, არც სხვა მნიშვნელოვან რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებზე შეირცხვინა თავი და თავისი საერთაშორისო რეიტინგი მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა.

გვიმედებს უდაოდ პერსპექტიული 8 წლის **გიორგი იოსავა**. ახალი თაობის ლიდერი, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატზე პირველი ლიგა მე–2 საპრიზო ადგილი დაიკავა. სამეგრელოში ჩატარებულ რესპუბლიკურ ფესტივალზე კი მე–3 საპრიზო ადგილით გაგვახარა.

საუკეთესოდ წარმოაჩინეს თავი და გვასახელეს უდაოდ ნიჭიერმა გოგონებმა **ლიკა ჭანტურიამ** და **მარიამ ლაგვილავამ**. მათ აქტივშიც რამდენიმე ღირსეული საპრიზო ადგილია.

ყველაზე მეტად სასიხარულოა და მეამაყება, რომ გამოჩნდნენ ახალი თაობის 7–8 წლის ბავშვები, რომლებზეც დიდ იმედებს ვამყარებთ. უპირველესად ესენი არიან **ცოტნე ქაჯაია, ცოტნე მოკუჩავა, ანდრია ზარანდია და ქეთი ნადარაია.**

გვჯერა, რომ 2020 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება. მშვიდობით 2019 წელო! გამარჯვებები დაგბედებოდეს ახალო წელო!

***ირაკლი გეთია,***
***ხობის სასპორტო სკოლის უფროსი ინსტრუქტორი ჭადრაკში.***

## გილოცავთ „კოლხეთელებო"

მინდა ხობის „კოლხეთის" გულშემატკივრებს მივულოცო სეზონის დასრულება,ხობის კოლხეთმა ყველაფერი გააკეთა ლიგა 3 ში ადგილის შესანარჩუნებლად და მონდომებამაც შედეგი გამოიღო.



დიდ მადლობას ვუხდი ფეხბურთელებს გაწეული შრომისთვის... მჯერა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და ხობის „კოლხეთს" გააჩნია უდიდესი პოტენციალი იბრძოლოს მაღალი მიზნებისთვის, მჯერა, რომ მომავალი სეზონი ხობის ფეხბურთის ისტორიაში იქნება ის საფეხური, საიდანაც შევძლებთ უკეთესი გუნდის შენებას.

მადლობას ვუხდი ხობის „კოლხეთის" გულშემატკივრებს გვერდში დგომისათვის, ჩვენ ყოველთვის ვეცდებით თქვენი სურვილები გავამართლოთ.

მადლობას ვუხდი ხობის მუნიციპალიტეტის მერიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდში გვედგა ფინანსური მხარდაჭერით, იმედს ვიქონიებთ მომავალშიც გაგრძელდება ხობის „კოლხეთის" თანამშრომლობა კერძო სექტორთან, ადამიანებთან, რომლებსაც უყვართ ფეხბურთი და მზად არიან მის დასახმარებლად, კერძო სექტორიდან შემოსული დაფინანსება არის ის ძირითადი წყარო, რითაც ხობის „კოლხეთი" არსებობს.

მინდა ყველა ხობელს მივულოცო დამდეგი შობა ახალი წელი. ბედნიერების, სიხარულის და მრავალი წარმატების მომტანი ყოფილიყოს როგორც ხობისათვის, ასევე სრულიად საქართველოსათვის.

***პაატა ბუკია,***
***ხობის „კოლხეთის" მწვრთნელი.***

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

# წარსულის სიდიადე—ხობის მუზეუმები

ერის კულტურულ სიდიადეს მუზეუმები წარმოადგენენ, ისინი სამარადჟამოდ ინახავენ ერისკაცთა ნაღვაწ-ნაამაგარს და სხვადასხვა ისტორიული, არქეოლოგიური და კულტურული მნიშვნელობის მქონე ექსპონატებით, ხელოვნების მრავალფეროვანი მასალებით, შემოქმედ ადამიანთა არქივებითა თუ ხელნაწერებით მუდამ ითხოვენ გამდიდრებას. ამ მხრივ ხობს ბევრი აქვს საამაყო.


გურიფულის ანსამბლი. მარტვილი, დადიანების საზაფხულო რეზიდენცია, მე-19 საუკუნის მიწურული.

ხობის მუნიციპალიტეტში არსებულ მუზეუმთა შორის გამორჩეულია სოფელ ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც განთავსებულია არქეოლოგ რევაზ პაპუაშვილისა და მკვლევარ-ისტორიკოს გოგიტა ჩიტაიას მიერ მაჩხომერში (პირველი მაისი) აღმოჩენილი ბოლოდროინდელი არქეოლოგიური მასალები: ბერძნულ წარწერებიანი ქვის ფილები, რომლებიც მკვლევარების მიერ დათარიღდა VI საუკუნის შუა ხანით. უნდა ითქვას, რომ ამ რაოდენობის ადრექრისტიანული წარწერებიანი მასალა საქართველოში დღემდე არსად აღმოჩენილა. აქვეა აღმოჩენილი მაღალი მხატვრული მნიშვნელობის მქონე ბიზანტიური და ეგვიპტური თიხისა და მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია.

ასევე ხეთის საბრძოლო დიდების მუზეუმშია პირველ მსოფლიო ომში დაღუპულ და მონაწილე ხობელ ჯარისკაცთა ფოტო-გამოფენა, მათი მოკლე ბიოგრაფიებითა და საბრძოლო მატეანით.

ხობის მუნიციპალიტეტი მდიდარია ფოლკლორით, პოეზიისა და ლიტერატურის ტრადიციებით. ამ მხრივაც აუცილებელია ხორგის ალიო მირცხულავას სახელობის ლიტერატურულ მუზეუმს მიექცეს სათანადო ყურადღება. აქ უნდა მოეწყოს ხობელ პოეტთა ბიბლიოთეკა, მათი პოეტური და ლიტერატურული ხასიათის კრებულებით, ფოტო გამოფენა, ჩვენს ბიბლიოთეკებში უნდა იმართებოდეს ხობელი პოეტებისა და მწერლების ლიტერატურისა და პოეზიის საღამოები.

ხობი ღირსეულ პატივს უნდა მიაგებდეს თავის შვილებს: ალიო მირცხულავას, თედო სახოკიას, გიორგი ჭალადიდელს, პიერ კობახიძეს, ესტატე შუშანიას, ჯაჯუ ჯორჯიკიას, ალექსანდრე ბერაიას, ნოდარ შონიას, ნოდარ შენგელიას, აბდულ ლუკავას, ოთარ სახეიშვილს, პოლმირა აბურჯანიას, გენო ფილიას, ნინო კემულარიას, რეზო ვეკუას, ვაჟა ეგრისელს, მერი აბრამიას, ლაშა გვასალიას, ბადრი ლომაიას, ენვერ სალაყაიას და ა.შ.

დასანანია, რომ ხორგის მუზეუმს დღეისდღეობით არ გააჩნია სრული ფუნქციონირების შესაძლებლობა. შენობა მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას, გზისპირზე კი აუცილებელია მოეწყოს ბანერი პოეზიის სიმბოლიკით—„მუზა“.

ხობის მუნიციპალიტეტი ოდითგან იყო ხალხური ცეკვისა და სიმღერის აკვანი, მეგრული ჰანგების ნამდვილი სავანე. ამაზე მიუთითებს 1854 წლის 14 აგვისტოს გაზეთ „კავკაზის“ კორესპოდენტი პ. ბიბიკოვის პუბლიკაცია.

ხობის მონასტრის მიმდებარე მოედანზე ტრადიცული სადღესასწაულო სანახაობით აღფრთოვანებული სტუმარი აღნიშნავს: „ასეთი ეროვნული ცეკვა არ მინახავს არც იმერეთში, არც გურიაში. აქაური ცეკვა კი ჩვენთვის იყოს სიახლე და საინტერესო, მასში მონაცვლეობით მონაწილეობს მრავალი კაცი და ქალი. 50-ზე მეტი წყვილისაგან შემდგარი ფერხულიდან, ერთი იწყებს სიმღერას, აიტაცებენ მის უკანასკნელ სიტყვებს... და გვაგონებენ საერთო ამიერკავკასიურ სიმღერას“.

აქედან ირკვევა, რომ მე-19 საუკუნის შუა ხანებში ხობში ჩამოყალიბებული იყო 50 წყვილისაგან შემდგარი სიმღერისა და ცეკვის ხალხური ანსამბლი, ხოლო ამ გუნდის მიერ მაღალ დონეზე შესრულებულ ერთ-ერთ სიმღერას ამიერკავკასიის ეროვნულ „ჰიმნს“ საერთო ეროვნულ სიმღერას უწოდებს ხობელთა საპატიო სტუმარი.

საკვირველია სად, რომელ კულტურულ დაწესებულებაში გადიოდნენ რეპეტიციებს ჩვენი წინაპრები, ხობელი ქალ-ვაჟები?

გავიდა სულ რაღაც ორი ათეული წელი და ხობს მოევლინა ხალხური სასიმღერო ხელოვნების გენიალური მოღვაწე ძუკუ ლოლუა. ის თავის მოგონებებში აღწერს როგორ შექმნა სოფელ ხეთასა და გურიფულში ხალხური ანსამბლები, ასევე სოფელ კოკში (ზუგდიდი) და სუჯუნაში (აბაშა). შემთხვევითი არარის რომ ხობს ერგო პატივი გახსნილიყო მისი სახელობის ხალხური სიმღერების მუზეუმი. ჩვენი კუთხისთვის, და არა მარტო, ეს გახლავთ უნიკალური მოვლენა.


პირველი გურიფულის ხალხური ანსამბლი გასული საუკუნის 20-30-იანი წწ.

როგორც აღინიშნა სასიმღერო ხელოვნებას ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს. ამის დამადასტურებელ კიდევ ერთ ფაქტად გამოდგება ჩვენს მიერ მოპოვებული მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ფოტო, გადაღებული მარტვილში, დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში, ფოტოზე აღბეჭდილია რომ გურიფულის ხალხური ანსამბლის ხელმძღვანელს, ივანე როყავას ხელთ უჭირავს ვიოლინო ხემით,





ანსამბლის წევრები გამოიყურებიან ევროპული სამოსით, ეროვნულ საკრავ ჩონგურთან ერთად გვხვდება ევროპული გიტარა, ერთადერთი ვიოლინო და ე.წ. „ბალალაიკა“. სავარაუდოდ ევროპული საკრავები საქართველოში ახალშემოტანილი უნდა ყოფილიყო.

ფოტო გადმოგვცა ამჟამად თბილისში მცხოვრებმა, ივანე როყვას შთამომავალმა ბატონმა კაკო როყვამ. დაგვათვალიერებინა რელიქვიადქცეული ის ვილინო, რომელიც ამ ფოტოზეა აღბეჭდილი.

ამასთან ბატონმა კაკომ მოგვაწოდა მეტად საინტერესო ცნობები: გადმოცემის მიხედვით ბაბუამისი ივანე როყვა დადიანების სასახლეს ხშირად სტუმრობდა. დადიანებთან ერთ-ერთ წვეულებაზე მისი სიმღერებით აღტაცებულ აშილ მიურატს (სალომე დადიანის მეუღლე), მისთვის პარიზიდან საგანგებოდ ჩამოტანილი ვიოლინო უჩუქნია. გვიამბო მრავალი საინტერესო ამბავი. I გურიფულის კლუბი 1927 წელს ხანძარს უმსხვერპლია, მას შემდეგ სოფელს კულტურული დაწესებულება არც ღირსებია, მხოლოდ წარსულს შემორჩა გამოჩენილი ლოტბარების ძუკუ ლოლუას, ივანე როყვასა და მღვდელ ლავრენტი კალანდარიშვილის (რომელსაც გაზეთ „ივერიის“ ცნობით გურიფულში 60 კაციანი მგალობელთა გუნდი „ხორო“ შეუქმნია) ანსამბლების ხსოვნა. ასევე უშორეს ამბად იქცა ამ სოფლის თეატრალური დასის „წარმოდგენებიც“.

ძუკუ ლოლუას ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმს ამშვენებს თავად ჩიქოვანების ნაქონი ვარდის ხის უძველესი ფორტეპიანო. ვისურვებდით, რომ მიურატისეულმა ვიოლინომაც ჩვენს მუზეუმში დაიდოს ბინა.

სასურველია მოლაპარაკება დიდი წინაპრის შთამომავალთან. ეს იქნება ჩვენი მუზეუმისთვის საუკეთესო შენაძენი.

ამასთან აუცილებელია „სიმღერის მუზეუმის“ შესასვლელთან დაიდგას ბანერი მუსიკის სიმბოლიკით „ჩანგი“.

***ტრისტან ვადაქარია,***
***ხობის მუზეუმების გაერთიანების მენეჯერი.***

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

## ახალი გამოცემები

### „ხობის მუნიციპალიტეტი“

გამოიცა ისტორიკოსისა და მკვლევარის გოგიტა ჩიტაიას წიგნი „ხობის მუნიციპალიტეტი“ და მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურისტული ობიექტების რუკა. (რედაქტორი ანზორ სიჭინავა).

გამოცემები სამენოვანია (ქართული, ინგლისური და რუსული) და მათში მოცემულია ცნობები ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, ბუნების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

წიგნი და რუკა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით გამოიცა.

***„ხობის მოამბელები“ ვულოცავთ ბატონ გოგიტა ჩიტაიას დამდეგ შობა-ახალ წელს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მეტად საინტერესო და საჭირო წიგნის გამოცემას.***







ახლახანს გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, საერო აკადემია „ფაზისის“ ნამდვილი წევრის, მათემატიკის მასწავლებლის **ალექსანდრე არჩაიას** და მათემატიკის სერთიფიცირებული მასწავლებლის, მათემატიკური სკოლის კათედრის გამგის **ნინო გამახარიას** კითხვებისა და ამოცანების კრებული მათემატიკაში.

წიგნის რეცენზიაში პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯემალ ჯინჯიხაძე წერს:

„ა.არჩაიასა და ნ. გამახარიას წიგნი „მათემატიკის კითხვებისა და ამოცანების კრებული“ მოსწავლეთა და მასწავლებელთა დახმარების მიზნითაა დაწერილი. ავტორებმა შესანიშნავად გაართვეს თავი დასახულ მიზანს.

წიგნში ყველა ტიპის მათემატიკური ამოცანაა განხილული, კითხვების სათანადო მოშველიებითა და ამოცანების დიდძალი რაოდენობის მოხმობით. ამასთან ეს ყველაფერი ხდება შესაბამისი თეორიის განხილვის ფონზე, მეთოდიკურად გამართული წესით.

ნაშრომში თანმიმდევრულად და სათანადო მეთოდიკურ დონეზეა განხილული რიცხვის ცნების გაფართოების ამოცანა, რაც ნატურალური, მთელი და რაციონალური რიცხვების თანამიმდევრულ დამუშავებაში გამოიხატა.

მთელი მათემატიკური მასალის განხილვა შეესაბამება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სტრუქტურას.

ფრიად ყურადსაღებია წიგნში შემოთავაზებული სახალისო ამოცანების დანიშნულება.

ბოლოს, ნაშრომს, საცნობარო მასალის სახით, ერთვის შესანიშნავი ნაწილი: მათემატიკური სიმბოლოები და მათემატიკურ ტერმინთა ლექსიკონი, რაც მოსწავლეთათვის ძალზე ძვირფასია.

უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე წიგნი უდაოდ დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც საჯარო სკოლის მოსწავლეებს, ისე მათემატიკის მასწავლებლებს, განსაკუთრებით დამწყებთ.“

ვულოცავთ ბატონ ალექსანდრეს მისი ავტორობით რიგით მეორე მათემატიკური წიგნის გამოცემას და დამდეგ შობა-ახალ წელს!




## სულთათანა

### ნაირა ბუკია



ახალი წელი მობრძანებას ჩქარობს, საცაა შემოაღებს კარებს... ბუნებრივია, თვალს ავლებ აწ უკვე გასულ წელს, იხსენებ სიხარულიან და ტკივილიან დღეებს... მრავალთაგან ერთ-ერთს თქვენი სახელი ჰქვია ქალბატონო ნაირა (ასე ოფიციალურ წრეებში მოგმართავდნენ). რაკი უთვალავი წელი და ურთიერთობები გვაკავშირებდა, ჩვენთვის უბრალოდ „ნაირა“, „ნაი“ იყავით.

31 დეკემბერი თქვენი დაბადების დღეა, არასოდეს გვავიწყდებოდა და საახალწლო ნომერს თქვენი ფოტო, ჩვენი საუკეთესო სურვილები ავსებდა.

წელს პირველად უთქვენოდ მოდის 31 დეკემბერი... ჯერ კიდევ არიან ადამიანები, (სამწუხაროდ, თქვენი თანამედროვენი უმეტესად ზეციურ საუფლოს ესტუმრნენ), რომელთაც კარგად ახსოვხართ თქვენი აქტიური და ლამაზი ახალგაზრდობიდან, შემდგომ დიდი ოჯახის დედაბოძი ვახტანგ დოლბაიას მეუღლე, ორი შვილის დედა, მეორე ოჯახად კი, როგორც ჩვენ, თქვენც რაიონული გაზეთის რედაქციას მოიაზრებდით, სადაც წლები გაატარეთ, 11 წელი გაზეთს რედაქტორობდით...

ჩვენ უკვე ასაკმიღწეულებს „ჩემს გოგოებს“ გვეძახდით, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ყოველდღე შემოგვივლიდით, გაზეთის გამოშვების ბედით ინტერესდებოდით, ყველა თქვენს სიტყვაში ჩანდა ნოსტალგია, დიდი სიყვარული გაზეთისადმი...

ახლა შენი სახელი ჩვენს მონატრებულ სახელ-გვარებს (ვლადიმერ ქორთუა, ნოდარ შონია, დემენტი ალანია, ვახტანგ სერგია, გოგი ბუკია, ლეილა წოწონავა, ჟალუკი ბერაია) შეემატა.

ნათელში გამყოფოთ უფალმა... ზეციურ საუფლოში გილოცავთ, გვიყვარხართ!..

**მერი ლაგვილავა**

### ლოლა თოლორდავა



ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს დააკლდა ნონა თოლორდავა.

ღვაწლმოსილი პიროვნება, პროფესიონალი მასწავლებელი, დიდებული ქალბატონი, შესანიშნავი დედა და მეუღლე.

ნონა თოლორდავა 1950 წელს დაიბადა გულრიფშის რაიონის სოფელ განახლებაში. 1967 წელს ჩაირიცხა სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1972 წელს.

1972 წლიდან 2019 წლამდე, 47 წლიწადი მუშაობდა (ზუბის) ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლის გეოგრაფიისა და ბიოლოგიის მასწავლებლად.

ნონა თოლორდავა იმ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც სიცოცხლეშივე სარგებლობენ განსაკუთრებული პატივისცემითა და ავტორიტეტით. ის იყო საოცრად სამართლიანი, პირდაპირი და გულწრფელი პიროვნება. ყველა თაობის საყვარელი მასწავლებელი. მასში თავმოყრილი იყო ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებები: სიკეთე, თანაგრძნობისა და თანალმობის საოცარი უნარი.

წარმოშობით აფხაზეთიდან იყო, ამიტომ გულით დიდ ტკივილს დაატარებდა, თუმცა არასოდეს კარგავდა დაბრუნების იმედს, საოცრად ნათელი და პოზიტიური ადამიანი იყო იშვიათი იუმორით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უჩვეულო ლექსიკით.

მიმდინარე წლის სექტემბრიდან გავიდა საპენსიო ჯილდოზე, ყველასთვის გასაკვირი იყო მისი გადაწყვეტილება, რადგან პროფესიული დაღლა წუთით არ შეტყობია.

გარეგნულადაც საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა, თუმცა ამაოდ... ქალს, რომელსაც გულით ესოდენ დიდი სითბო და სიყვარული დაჰქონდა, რომელსაც მუდამ ეღიმებოდა და ემღერებოდა, სწორედ გულმა უმტყუნა.

განუზომელია მწუხარება, რომელიც ნონა თოლორდავას სიკვდილმა განაცდევინა მის კოლეგებს, მოსწავლეებს, კურსდამთავრებულებს, მშობლებს, ოჯახს, სრულიად სოფლის მოსახლეობას.

შემთხვევით არაფერი ხდება ამ სამყაროში, არც ასეთი უსაზღვრო სიყვარულია შემთხვევითი, კარგად იცის სოფელმა, ვინ დაკარგა, ვინც ამ ზამთრის სუსხიან დღეებში უკანასკნელ გზაზე გააცილა.

დიდი ილია იტყოდა: კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ დასატოვებელი, მეორე იმ ქვეყნად წასაღებიო. ნონა თოლორდავამ, ამ გამორჩეულმა ქალბატონმა, აქ უსაზღვრო სითბო და სიყვარული დატოვა, იმ ქვეყნად კი მოწიწება და მადლიერება გაიყოლა.

ნათელი მის წმინდა და სპეტაკ სულს საუკუნო სასუფეველში.

**ახალი ხიბულის №2 საჯარო სკოლის პედაგოგთა ჯგუფი.**

# გილოცავთ შობა-ახალ წელს!

## საახალწლო!

**ბადრი ლომაია**

ახალი წლის ღამეს,
ჩავთქვამ რამდენ რამეს,
ახალი წლის დილას,
ბავშვს დავხედავ მძინარს.
გადავთელავ ველებს,
გადავხედავ მინდვრებს,
ზე აღვმართავ ხელებს,
მოვწყვეტ თოვლის ფიფქებს.
გულს ჩავიკრავ რუსთველს,
გრძნობებს ენით უთქმელს.
გორგასალის გორდას,
სახელოვან მოდგმას!
სააკაძის მახვილს!
წინაპართა ძახილს,
საქართველოს ფუძეს.
დედას დედამძუძეს,
ალაზანს თუ ენგურს!
ჩვენი ერის მეგზურს,
ვინც დაგიდგამს ძეგლებს,
ვინც აგივსებს ბელებს,
ვინც გაიცანს ლელოს,
ვინც შენ გასახელოს,
ყველას გიდღეგრძელებ,
ჩემო საქართველო!

## ოცნებების ახდენას გისურვებთ...



ყოველი ადამიანის ბავშვობის ასაკს ამშვენებს ოცნება, მიმბაძველობა, „დიდკაცობის“ და „დიდქალობის“ სურვილი, ზოგჯერ არარეალურიც...

ჩემი სტუმარი, ორაკლი ძიძავა, ხობის №2 საჯარო სკოლის მე-3 კლასელია, 9 წლის. თავდაჯერებული, კარგი მეტყველებით, ლამაზი, მაყვალთავალება, სიმპათიური, პუტკუნა, გრძელი თლილი თითებით...



მას თან ახლდა დედა, პედაგოგი ლალი ბასილაია. ირაკლი კი მუყაოს ყუთში ჩალაგებული ნამუშევრებით ხელდამშვენებული, იმაში დარწმუნებული, რომ მალე წარმატებებს მიაღწევს, გამოფენას მოაწყობს და თანაკლასელებს და მასწავლებლებს გაახარებს...

–მიყვარს პლასტელინზე მუშაობა, ჩემი დიდი სურვილია, შევქმნა მულტფილმების გმირები, ჩემი წარმოსახვა ამათუიმ დეტალზე, სხვანაირად, ჩემეულად დავინახო და გამოვძერწო. ეს თავისუფალ დროს, გაკვეთილების მომზადების შემდეგ... ვოცნებობ ვისწავლო ენები, ბევრი წიგნი წავიკითხო და პრეზიდენტი გავხდე–მიყვება ირაკლი.

რა თქმა უნდა, თოვლის ბაბუის საჩუქრების უკვე არ სჯერა, მაგრამ დიდი სურვილი აქვს მამამ, გალაქტიონ ძიძავამ, კარგი ხარისხის პლასტელინი მოუტანოს, რომ თავგის წელიწადს მისი ნახელავი თაგუნიებით გაახაროს ახლობლები... ჩვენც არ დავრჩენილვართ უსაჩუქროდ, მისი გამოძერწილი თაგუნიათი ვიწონებთ თავს...

მისი შრომისმოყვარეობისა და უზომოდ დიდი ნებისყოფის პატივსაცემად გვინდა გამოვაქვეყნოთ მისი „ნამუშევრების“ ნაწილი.

ცხოვრების გზაზე ოცნებების ახდენას გისურვებთ, ირაკლი!

***მერი ლაგვილავა.***

## მობრძანდება თეთრი ვირთხის წელიწადი

### როგორ შევხვდეთ 2020 წელს, ვირთხა რომ არ გავანაწყენოთ?




თეთრ ვირთხას უყვარს ღია ფერები, გემრიელი საჭმელი და სილამაზე. ახალი წლის ღამეს უპირატესობა თეთრს ან ნაცრისფერს მიანიჭეთ. შავი ფერის გამოყენებას თუ გადაწყვეტთ, ფრთხილად იყავით, რომ არ გადააჭარბოთ. სტილი უნდა იყოს მოკრძალებული, ელეგანტური და დახვეწილი.

რაც შეეხება აქსესუარებს, შეგიძლიათ შეარჩიოთ ბრჭყვიალა, მოელვარე გულსაკიდი, საყურე ან თმის სამაგრი.

ლითონის ვირთხას მოსწონს ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ელვარებს. ძალიან ეფექტური იქნება ვერცხლისფერი ან ოქროსფერი ფეხსაცმელი.

რაც შეეხება ინტერიერს და ნაძვის ხეს, აქაც შეარჩიეთ თბილი და ნაზი ტონები. ვირთხას უყვარს ყველაფერი ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალური, ეს აუცილებლად გაითვალისწინეთ.

მაგიდაზე უნდა იდოს ბევრი გემრიელი კერძი, არ დაგავიწყდეთ ყველი. სუფრა ღია ფერის შეარჩიეთ და მაგიდა ბროლითა და ვერცხლით გააწყვეთ.

## ვულოცავთ!

### ნუცა ბუკიას!



ჩვენო ლამაზო დაიკო!

გილოცავთ დაბადების დღეს. ძალიან გვიყვარხარ. გვურს კარგი და საამაყო გაიზარდო—ნიჭიერი, სწავლული გოგო. ასევე საუკეთესო სურვილებით გილოცავთ მოახლოებულ შობა-ახალ წელს.

*გკოცნით უთვალავჯერ.*
*ტატა, გოგი, ალექსანდრა ბუკიები*

### ანნა კვაშილავას!



ჩვენო ანუკი, ჩვენო სიამაყევ! გილოცავთ დაბადების დღეს. უკვე დიდი გოგონა ხარ, მე-5 კლასელი, ათოსანი.

ძალიან, ძალიან გვიყვარხართ. ბედნიერი და საამაყო გამხდარიყავი.

დაბადების დღესთან ერთად გილოცავთ მოახლოებულ ახალ წელს.

საუკეთესო სურვილებით
*ბებია და ბაბუა, ბრიანა და გიგლა კვიკვინიები.*

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.